

ნამაზ პოლოგუა



„ტფილისის პერძო ბიბლიოთეკა“

თბილისი
1997

„ტფილისის პერძო ბიბლიოთეკა“


(მასალები XIX ს. ქართული საზოგადოებრივი
აზრის ისტორიისათვის)

0947.1

"კულტურის ცენტრ წიგნითავი" (1842-1848)
სამოწმოებელი
შემსრულებელი

დიმიტრი ყიფანის ინიციატივით დაარსებული „ტფილისის კურძო ბიბლიოთეკა“ (1842-1848 წწ.) 1840-იანი წლების „დეზორგანიზებული ეროვნული ცხოვრების“ (ა. ჯორჯაძე) აღორძინების პირველი სერიოზული ცდა იყო. მან მკვეთრად გამოაცოცხლა იმდროინდელი ქართველი საზოგადოებრივის პატიონტულად განწყობილი ნაწილის საგანმანათლებლო ინტერესები, შესამჩნევი ბიძგი მისცა ქართული კულტურულ-ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრისაცის პროცესს. ნაშრომში საუბარია „ბიბლიოთეკას“ მესვეურთა ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნებზე, დამუშავებელთა და წევრთა ვინაობაზე, წიგნადი ფონდის დაკომპლექტების პრიციპებსა და საშუალებებზე...

ნაშრომი განკუთვნილია XIX ს. ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზრის ისტორიით დაინტერესებული წრეებისათვის.



იმპერიალური ავტორის წარკით

სახე-2000
 გემონიშვილი

42243-496

1820-იანი წლების დასასრულისა და 30-იანის დასაწყისის კულტურული აღმავლობის პროცესი, რომელიც 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა სახელებს უკავშირდება, იმდენად ხანმოქლე აღმოჩნდა, რომ მან ვერ მოიცვა საზოგადოებრიობის ფართო ფენები. მით უმტეს, ეს პროცესი ნახევრად არალეგალურ პირობებში მიმდინარეობდა და, შესაბამისად, გვაგრძელებულადაც და რიცხობრივადაც მეტად შეზღუდული „აუდიტორია“ ჰყავდა. ამიტომაც 1832 წლის კატასტროფამ, რასაც თავის მხრივ ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის რესეთის შორეულ გუბერნიებში მიმოუარტვა მოჰყავა, საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების პარალიზება გამოიწვია - ამ დროიდან მოკიდებული ვიდრე 40-იან წლებამდე საქართველოში არ არსებობდა არც ერთი მეტ-ნაკლებად ორგანიზებული საზოგადოებრივ-კულტურული დაწესებულება, არ არსებობდა ქართული ნაბეჭდი პრესა, ბიბლიოთეკა, ლიტერატურული თუ თეატრალური სალონები... იმდროინდელი ქართველი საზოგადოების ინტელექტუალური სიმწირისა და ინერტულობის წარმოსადგენად, ვფიქრობთ, რამდენიმე ფაქტის დასახელებაც იქმარებს: 1832 წლიდან 1838 წლამდე საქართველოში არც ერთი ქართული წიგნი არ დაბეჭდილა;¹ 30-იან წლებში თვით ხელისუფლების მცდელობის მიუხდავადაც კი ვერ მოხერხდა თბილისში საგუბერნიო ბიბლიოთეკის დაარსება, ვინაიდან მთელს გუბერნიაში არ აღმოჩნდა თუნდაც რამდენიმე ათეული პირი, ვისაც ბიბლიოთეკით სარგებლობის სურვილი და მოთხოვნილება ექნებოდა;² საზოგადოებამ სრული გულგრილობა გამოიჩინა ისეთი დიდმნიშვნელოვანი ზოგადკულტურული ფაქტისადმი, როგორიც იყო მარი ბროსეს, დავით ჩუბინაშვილისა და ზაქარია ფალავანდიშვილის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა (მეორე ნაბეჭდი გამოცემა 1712 წლის ეწ. ვახტანგისულის შემდეგ) 1841 წელს³ და ა.შ. ამგვარ სავალალო



მდგომარეობას, ცხადია, არსებითად ვერ შეცვლიდა ვერც უცილენიდან
კალიგრაფიული გადამწერთა საქმიანობა, ვერც თბილისის გიმნაზიის მოწაფეთა
მიერ შედგენილი ორიოდე დღემოკლე ხელნაწერი (და ამდენად, თითო
ეგზემპლარად არსებული) ლიტერატურული ფურნალი,⁴ ვერც პლატონ
იოსელიანის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი... დასახელებულთაგან
თითოეულს, თავისი სპეციფიკურობის გამო, მკითხველთა მეტისმეტად
შეზღუდული წრე ჰყავდა და ამათვან არც ერთს არ მოჰყოლია რამდენადმე
შესაძინევი საზოგადოებრივი რეზონანსი.

1830-იანი წლების დასასრულისა და 40-იანის დასაწყისის
საქართველოში შექმნილ საზოგადოებრივ ვითარებასა და განწყობილებას
შევენივრად გვისერათებს ფრაგმენტი კონსტანტინე მამაცაშვილის იმ ხიტებისა,
რომელიც მან 1876 წელს „დროების“ 10 წლის იუბილეზე წარმოთქა:
„სამი-ოთხი თუ შევერთდებოდით და კრძალვით დავიწყებდით საზოგადო
საქმებზე თუ ლიტერატურაზე ლაპარაკს - ისიც დიდ ბედნიერებათა და
გაბედვათ მიგვაჩნდაო“.⁵

ქართველმა არისტოკრატიამ მართლაც დაიჯერა მითი ხელმწიფულ-
იმპერატორის „ლომობიერი“ და „კეთილი“ გულის შესახებ და ერთგულ-
ქვეშვერდომეული მოწინებით მიიღო ის „მოწყალება“, რომელიც იმპერიული
ინტერესების სასარგებლოდვე გაიღო ნიკოლოზ I-მა შეთქმულთა მიმართ.
ამას დაერთო თვითონ იმპერატორის სტუმრობა საქართველოში 1837
წლის ოქტომბერში.⁶ „ქართველი თავადები, - წერს ისტორიკოსი პოტო, -
ასი და ორასი ვერსის სიმღრიდან მოღიოდნენ თბილისს, თან ახალგაზრდა
შვილები მოჰყავდათ, რომ ხელმწიფულისთვის ეჩვენებინათ და მონაწილეობა
მიეღოთ დღესასწაულში“. ⁷ წესისამებრ გაიმართა დიდებული აღლუმი,
ბრწყინვალე ბალი პოლონეზით, კადრილით, ლეკურითა და სხვა აუცილებელი
„ატრიბუტებით“, პომპეზური ნადიმი... ჭეშმარიტად „მეფეური
სამართლიანობითა“ (ხელქვეითთა ღირსების ხელყოფისთვის გენერალ
ბრაიკოს აღლუმშევე ააგლევინა ფლიგელ-ადიუტანტის აქსელბანდი
მთავარმართებელ გრ. როზენის სიძისთვის, პოლკოვნიკ ალექსანდრე
დადიანისთვის) და არაჩვეულებრივი ელეგანტურობით (მისი ცეკვა ულამაზეს
მართა სოლოდაშვილთან დიდხანს იყო ჩვენი მაღალი საზოგადოების
აღტაცებული მსჯელობის (საგანი) რესეტის იმპერატორმა საბოლოოდ
მოინადირა ქართველი თავადაზნაურობის გული. თავის მხრივ, იმ
გულწრფელმა აღტაცებამ და მოწინებამ, რომელიც საქართველოში იგრძო,
მონარქი საბოლოოდ დაარწმუნა - უკვე დამდგარი იყო საერთოდ ქართველ
თავადაზნაურთა და მათ შორის არისტოკრატიის ფრონდირებული ნაწილის



იმპერიის სამსახურში ჩაყენების დრო. ნიკოლოზ I-მა ჩვენიგური თავადაზნაურობას ფართოდ გაუღო სახელმწიფო-ადმინისტრაციული სამსახური სამსახურის კარი. ამ უკანასკნელმაც დიდი სიხარულით და ენთუზიაზმით მიიღო ხელმწიფის მორიგი , „წყალობა“: ზოგმა მატერიალური კეთილდღეობისა და პატივის მოხვეჭის მიზნით, ზოგისთვის კი სამოხლეო თუ სამსხვირო ქარიური საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციისა და ამ გზით საზოგადოებრივ ცხოვრებაში თვითდამკვიდრების ერთადერთი საშუალება იყო. მით უმეტეს, იმპერიის სამსახურში ყოფნას მაშინდელი საზოგადოებრივი სინდისი არათუ გმობდა, პირიქით, იწონებდა კიდეც (სხვათა შორის, სამართლიანობა ერთი გარემოების აღნიშვნასაც მოითხოვს: თუ ნიკოლოზ I-ის სტუმრობა და მასთან დაკავშირებული მოვლენები, ერთი მხრივ, მაჩვნებელი აღმოჩნდა იმდროინდელი ქარიული საზოგადოებრივი მორალის კოლაფსური ძრეობისა, მეორე მხრივ, ამ „ვიზიტს“ ერთი პოზიტიური შედეგიც მოჰყვა. კერძოდ, ქართველი არისტოკრატიის „სერვილური“ განწყობილებით გულდამშვიდებულმა იმპერატორმა შესაძლებლად ცნო, დაეჩქარებინა ამიერკავკასიის ადმინისტრაციული მმართველობის გადაყვანა სამსხვირო რეჟიმიდან სამოქალაქოზე. ეს უკანასკნელი გარემოება კი, თავის მხრივ, ობიექტურად უკეთეს პირობებს ქმნიდა საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მოწესრიგებისა და მისი ეროვნული გეზით წარმართვისთვის).

არსებითად, ამ პერიოდიდანვე იწყება ქართველი თავადაზნაურობის, - აწ უკვე არა რეჟიმის მოწინააღმდეგე, არამედ იმპერიული ინტერესების მსახური საზოგადოებრივი ფენის, - დიდი ნაწილის ნებაყოფლობითი რუსიფიკაციის პროცესიც... ერთი სიტყვით, ქართველი საზოგადოებრიობა დენაციონალიზაციის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამ მხრივ, ვფიქრობთ, სავსებით სწორი და სამართლიანია ჩვენი ისტორიის ზემოაღნიშნული პერიოდის არჩილ ჯორჯაძისეული ერთი შეხედვით მეტისმეტად ძაცური შეფასება: „პოლიტიკურად დასწეულებული ეროვნული სხეული დასწეულდა ზნეობრივად და გონგბრივადაც. ორმოციან წლებში უკვე დასრულებული იყო დეზორგანიზაცია ეროვნულ ცხოვრებისა“.

ოფიციალურმა (რუსიფიკატორულ-ანტიქართულმა) იდეოლოგიამ თავისთავად წარმოშვა საწინააღმდეგო (ნაციონალურ-ქართული) იდეოლოგიური სისტემის ჩამოყალიბება-განვითარების აუცილებლობა და ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება კიდევ ერთხელ გადაიქცა მმაფრი იდეოლოგიური ორთაბრძოლის ასპარეზად. ჩვენი ისტორიის მოცემულ მონაცემთშე ამ ბრძოლის ანუ ეროვნულ-განმათავისუფლებული მოძრაობის



მეთაურად დიმიტრი ყიფანის ფიგურა გამოიკვეთა. „ტუილისტიკური ბიბლიოთეკა“ 1840-იანი წლების, „დეზორგანიზაციული ეროვნული ცხოვრის გამოცოცხლების პირველი სერიოზული ცდა და მისი ადგილი XIX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიაში სწორედ ამ გარემოებით უნდა განისაზღვროს (ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ დროს და, საერთოდ, მთელს XIX საუკუნეში ჩვენი მოღვაწეების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას მყაფიოდ გამოკვეთილი პოლიტიკური მიზანდასახულობაც ჰქონდა. კერძოდ, სახელმწიფო ებრიობადა კარგულ საქართველოში ბრძოლა ეროვნული კულტურის გადარჩენისა და განვითარებისთვის თავისდათავად ნიშნავდა ბრძოლას მამულის, როგორც ნაციონალური ინდივიდუურის, გადარჩენისა და განვითარებისათვის).

„ბიბლიოთეკის“ დაარსებაზე ზრუნვა დიმიტრი ყიფანის 1840 წელს დაუწყია. ერთგან იგი აღნიშნავს: „1840 წლიდან შევუძლები კერძო ბიბლიოთეკის შექმნას შემდგომში მისი საზოგადოებრივ ბიბლიოთეკად გარდაქმნის მიზნით“? ასეთი მნიშვნელოვანი წამოწყების ორგანიზება იმდროონდელ პირობებში, ცხადია, ერთი და ორი დღის საქმე არ იქნებოდა. საჭირო იყო თანამოაზრეთა მოპოვება და შემოკრება, რაც ინტელიგენტური ძალების დაქანქსულობის გამო ადვილად ვერ მოხერხდებოდა, მომავალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურასა და მიზანდასახულობაზე სჯა-ბაასი, ბიბლიოთეკის დამუშავებელთა რიგებში ისეთი სახელმწიფო მოხელეების ჩართვა, რომელთა იქ ყოფნა ხელისუფლების თვალში ერთგვარი „კამუფლაჟის“ როლს შეასრულებდა, ამასთანავე, დაწესებულების პატრიოტული ფუნქციის განხორციელების პროცესში ხელის შემსლელ ფაქტორად არ გადაიქცეოდა, საბიბლიოთეკო ცენტრისთვის შესაფერისი წიგნადი ფონდის შექმნა და ა.შ. უნდა ვიფიქროთ, არც ხელისუფლება იქნებოდა დაინტერესებული თბილისში ისეთი კულტურული კერის დაარსებით, რომელიც დროთა მანძილზე უთურდ გადაიქცეოდა ადგილობრივი პატრიოტულად განწყობილი განათლებული საზოგადოების შესაკრებ ადგილად და ინტელექტუალურ „თავშესაფრად“. ასეა თუ ისე, მოსამზადებელი მუშაობა 1842 წლამდე გაგრძელებულა. თუმცა, უჯვობესი იქნება, მოვუსმინოთ თვითონ დიმიტრი ყიფანის: „მე ვიყავი მთავარ-მართველობის კანცელარიის განყოფილების უფროსი და ერთხელ, სამსახურის საქმის მოსხენების შემდეგ, ვვგნი ალექსანდრეს ძე გოლოვინს (საქართველოს მთავარმართებელი 1838-1842 წლებში - თ.ჯ.) გამოვუცხადე რამდენიმე ჩემი ტოლ-ამსანაგის სურვილი, რომ გვინდოდა დაგვეარსებინა



კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკა და დაგვრთავდა თუ არა ამის ნება ჩატარდა რომ მივიღე იმისი მხრივ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო ჭირდებული თანხმობა, მეორე შემთხვევის დროს წარვუდგინე მას „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ წესდების პროექტი და როგორც კი მოაწერა ზედ: „ვამტკიცებ გოლოვინი,“ - აღარ დაგვიყოვნებია, ჩვენი სურვილის განხორციელებას შევდგომოდით“.¹⁰

„ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ სტრუქტურისა და მიზან-დასახულობის მეტ-ნაკლებად სრული სურათის წარმოსადგენად აუცილებელია ფურადღების გამახვილება რამდენიმე არსებით მომენტზე: 1) ბიბლიოთეკის წესდებაზე; 2) მის მესვეურთა ფართო საგანმანათლებლო მიზანსა თუ განზრახულობაზე, რომელიც ხელისუფლებისგან მოსალოდნელი წინააღმდეგობის ნეიტრალიზაციის მიზნით წესდებაში ვერ იქნებოდა მკაფიოდ აქცენტირებული და რომლის გარეშეც კულტურის ეს კურა ვერ გასცდებოდა წმინდა წყლის საბიბლიოთეკო მასტებას; 3) დამტურნებულთა და წევრთა ვინაობაზე; 4) წიგნადი ფონდის დაკომპლექტების პრინციპებსა და საშუალებებზე...

„ბიბლიოთეკის“ წესდება პირველად დედნის (რუსულ) ენაზე გამოაქვეყნა კ. ყიფიანმა.¹¹ მისი განმეორებითი პუბლიკაცია, - ამჯერად ქართული თარგმანი, - კეთვნის ი. ბალახაშვილს,¹² საიდანაც იგი უცვლელად გადაბეჭდილი აქვს ნ. გურგენიძეს.¹³ ვინაიდან ი. ბალახაშვილისეულ პუბლიკაციაში არ არის წესდების პრამბულა, აკრეთვე, თარგმანში გვხვდება ზოგიერთი შეუსაბამობა, ჩვენ აქ სრულად ვაქვეყნებთ წესდებას დ. ყიფიანის იმ ავტოგრაფული ტექსტის მიზევით, რომელიც ე. გოლოვინის მიერაა ვიზირებული 1842 წლის 22 სექტემბერს¹⁴ (თარგმანი ჩვენია):

„ტფილისში არ არსებობს საჯარო ბიბლიოთეკა. ახალგაზრდა ქართველი თავადაზნაურები, რომელთაც მიღებული აქვთ დაწყებითი განათლება, მოკლებული არიან საშუალებას, თვალი აღვნონ ვითარებას მუკინერული ცოდნის სხვადასხვა სფეროებსა და სამამულო ღიტერატურაში. ამ ხარევზის შეძლებისდაგვარად გამოსწორების მიზნით ზოგიერთები გამოთქამენ მზადყოფნას, წიგნების გამოსაწერად გაიღონ 30 მანეთი ვერცხლით და ამგვარად, საკუთარი ხარჯებით დაარსონ კერძო ბიბლიოთეკა, რომელიც დროთა მანძილზე შესაძლებელია საზოგადოებრივ ბიბლიოთეკადაც გარდაიქმნას.

ამისათვის ამიერკავეკასიის მხარის მთავარმართებლის, ბატონი ინფანტერიის გენერლისა და კავალრის, ვეგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინის ნებართვით დადგინდა შემდეგი წესები:

1.

როდესაც ზემოაღნიშნულ პირობათა საფუძველზე შეკრიბება ხუთ წევრზე მეტი, ისინი თავაანთი რიგებიდან ირჩევენ სამ წევრს, რომელთაც მიანდობენ წიგნების შერჩევასა და გამოწერას. რაოდენობა წევრებისა ერთი წლის მანძილზე არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათს.*

2.

თითოეულ წევრს ნება ეძლევა საკუთარი შენატანის ნახევრით, - ე. 15 მანეთი ეპრცხლით, - გამოაწერინოს მისთვის სახურველი წიგნები.

3.

ნებისმიერ წევრს, გარდა საწევრო თანხის შეტანისა, შეუძლია ბიბლიოთეკას გადასცეს [საკუთარი] წიგნებიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს წიგნები პატრონს ვე დაუბრუნდება: ბიბლიოთეკის დახურვის, აგრეთვე დამშუქებულთა გამგეობიდან ან კიდევ საერთოდ წევრობიდან გასვლის შემთხვევაში. პატრონის ან მისი მემკვიდრეების ნება-ხურვილზე იქნება დამოკიდებული, გავრცელდება თუ არა მსგავს წიგნებზე ქვემოთ, - მეჩევიდმეტე პუნქტში, - მითითებული პირობა.

4.

წიგნები წევრებზე გაიცემა იმ თანამიმდევრობით, რა თანამიმდევრობითაც მოთხოვნები შემოვა.

5.

წიგნის წასაკითხად დაწესებულია შემდეგი ვადები:

12⁰ ზომის წიგნზე 6 ლარე

* წესდების გვიანდელ (ნაბეჭდი, უთარილო, რუსულ ენაზე) ვარიანტს, რომელსაც დ. ყიფანის ხელით თავფურცელზე აწერია: „აქ ჩამოყალიბებული წესების საფუძველზე ბიბლიოთეკა იწყებს ხელმოწერებს 1846 წლისთვის,“ ბოლოში ახლავს დიმიტრისავე მინაწერი: „ბიბლიოთეკის დამშუქებლებმა... I პუნქტს დაუმატეს შემდეგი: ხელმოწერებს პირველ ორ წელიწადს შემოაქვთ 30 მან. ეპრცხლით, შემდეგ ორ წელიწადს - 15, ამის შემდეგ კი 10 მან. ეპრცხლით“ (Правила Тифлисской частной библиотеки, №1, დ. ყიფანის არქ., საქ. №218, ფ. 5).

8°	8 დღე
4°	10 დღე
უოლიანტზე	12 დღე

ეს ვადგი დადგენილია მხატვრულ ლიტერატურაზე, სასწავლო და სამეცნიერო წიგნებზე* კი ვადა 2 დღით იზრდება.

6.

ვინც წიგნს სათარგმნელად ან შესასწავლად გაიტანს, წინასწარ განსაზღვრული ვადა არ დაუწესდება, მაგრამ იგი ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში წიგნი ბიბლიოთეკაშივე დააძრუნოს.

7.

წიგნი წევრზე შეიძლება ქალაქებითაც გაიცეს, ოღონდ არა უმეტეს ორი თვის ვადისა და, ამასთანავე, ამ წიგნზე არ უნდა იყოს სხვა მოთხოვნა შემოსული.

8.

მოთხოვნილი წიგნი პირველ რიგში გაიცემა იმ წევრზე, ვისი ფულითაცაა იგი შეძნილი და მხოლოდ ამის შემდეგ ამოქმედდება საერთო წესი.

9.

ვინც წიგნზე დაწესებულ ვადას გადააცილებს, კარგავს უფლებას, თავისი საწევრო შენატანიდან საკუთარი შეხელულებისამებრ გამოიყენოს 15 მანეთი. გამორების შემთხვევაში კი საერთოდ კარგავს წევრობის უფლებას.

10.

ვინც წიგნს დაკარგავს, ერთი წლით ჩამოერთმევა ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება. თუ იგი მომდევნო წელს მოინდომებს წევრობის აღდგენას, იხდის 35 მანეთს. ხოლო თუ სურს, საერთოდ არ დაკარგოს

* ჩემს მიერ ხაზგასმული სიტყვები წესდების ავტოგრაფულ ვარიანტში ასეა: „для книг классических“, ნაბეჭდ ვარიანტში კი: „для книг ученых и учебных“, რომელიც დ. ყიფიანს გადაუმლია და მიუწერია: „для книг научных“.



ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება, წიგნის დაკარგვისთანაცემი¹ და შემოაქვს 10 მანეთი ვერცხლით, მაგრამ თუ წიგნის ღირებულება აღმატება 5 მანეთს - გადასახადი ორმაგდება.

11.

გატანილი წიგნი ბიბლიოთეკას სუფთად და დაუზიანებლად უნდა დაუბრუნდეს. ვისაც დაზიანებული ან დასვრილი წიგნი აღმოაჩნდება, დაეყისრება ამ წიგნის გაორმაგებული ღირებულების გადახდა ერთი კვირის განმავლობაში.

12

ბიბლიოთეკას აქვს მის ხელთ არსებული წიგნების კატალოგი და სპეციალური ანბანი.

13

ბიბლიოთეკას აქვს, აგრეთვე, ზონარგაყრილი დავთრები: ფულადი ანგარიშსწორებისთვის; წიგნებზე გაწეული ხარჯებისათვის.

14

საკითხი იმ პირის პასუხისმგებლობისა, ვისაც წევრები მიანდობენ ბიბლიოთეკის მართვასა და თანხებს, წინასწარ არ განისაზღვრება, ვინაიდან ფიქრადაც ვერ დაიშვება რაიმე ბოროტგანზრახულობა მისი მხრიდან. ხოლო ასეთი პირის ავადმყოფობის, არყოფნის ან კიდევ მისი მხრიდან აშერა დაუდევრობის შემთხვევაში წევრები საკუთარი რიგგიდან სხვას ირჩევენ.*

15

ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლიათ იმ პირებსაც, რომლებიც არ

* გვიანდელ, ნაბეჭდ ვარიანტში ეს, - კაცმა რომ თქვას, საერთოდ, წესდების ხასიათისა და სტილისთვის შეუფერებელი (ქურძოდ, ეს ეხება ტექსტის პირველ ნაწილს), - პუნქტი მთლიანადაა ამოღებული და მის ნაცვლად წერია: „ბიბლიოთეკის სამუშაო წელი ყველა შემთხვევაში 1 იანვარს მთავრდება“.

მონაწილეობდნენ მის დაფუძნებაში, მაგრამ სალაროში შემოიტანენ 15
კაპიქს თითოეულ გატანილ წიგნზე, ამასთანავე, წიგნის კარგად შენახვების
საგარანტიოდ გირაოდ დატოვებულ 10 მანეთს ვერცხლით.”

16

ბიბლიოთეკის დახურვის შემთხვევაში წიგნები გაიყიდება ან წევრთა
საერთო თანხმობით გადაეცემა ოომელიმე საზოგადოებრივ სასწავლო
დაწესებულებას, ან კიდევ წილისყრით განაწილდება ბოლო წლის წევრთა
შორის.

17

თუ წიგნები გაიყიდება, შემოსული თანხა თანაბრად განაწილდება
ბოლო წლის წევრთა შორის.

18**

ბიბლიოთეკას დაერქმევა „ტულისის კერძო ბიბლიოთეკა.“
ტიტულარული მრჩეველი ყიფიანი.”

წესდების პრემბულაში დიმიტრი ყიფიანი, როგორც ვნახეთ, თავის
პირში საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო დაწესებულებას მოკრძალებულ
მიზანს უსახავს - ახალგაზრდა ქართველ თავად-აზნაურებს სურთ,
მეცნიერული ცოდნისა და სამამულო ლიტერატურის განვითარებას თვალი
აღვენონ. თავისდათავად ასეთი, შედარებით ვიწრო, - წმინდა წყლის
საბიბლიოთეკო, - კერის დაარსებაც მნიშვნელოვანი მოვლენა იქნებოდა
მაშინდელ პირობებში. მაგრამ, როგორც თვითონ წესდების ზოგიერთი
პუნქტისა და, რაც მთავარია, დამფუძნებელთა მიმოწერიდან ირკვევა, დ.
ყიფიანსა და ამ საქმეში მის თანამოაზრებს გაცილებით უფრო დიდი და

* წესდების ჩეკის მიერ ზემოხსენებულ გვიანდელ, ნაბეჭდ ვარიანტში ეს პუნქტი დ. ყიფიანს გადახაზული აქვს, ბოლოში კი მასვე მიუწერია: „ბიბლიოთეკის დამფუძნებლებმა საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით გადაწყვიტეს, საერთოდ ამოსლონ მე-15 პუნქტი.“

** გვიანდელ, ნაბეჭდ ვარიანტში მე-18 პუნქტი უფრო სრულადაა: „ბიბლიოთეკას დაერქმევა „ტულისის კერძო ბიბლიოთეკა.“ იგი დროებით მოთავსდება კოლეგიის ასესორ ყიფიანთან, რომელმაც თავს იღვა ბიბლიოთეკარობაც.“

შორს გამიზნული ამოცანები ჰქონიათ დასახული: ქართული ხელნაწერების მოძიება, თავმოყრა და დაცვა, მათი შესწავლა და გამოქვეყნება,¹⁵ ჰქონიანი ლორგანოს დაარსება,¹⁶ მთარგმნელობითი და საკვლევაძიებო საქმიანობის თვის ხელის შესწობა...¹⁷ ერთი სიტყვით, ჩაფიქრებული ყოფილა ფართო პროცესის კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სალიტერატურო ცენტრის შექმნა. ისეთი ცენტრის შექმნა, რომელზეც უფრო ადრე სოლომონ დოდაშვილი ოცნებობდა და საამისო პრაქტიკულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. თუმცა, ცნობილ მიზეზთა გამო ს. დოდაშვილის ამ მცდელობას მაშინ, სამწუხაროდ, წარმატება არა ჰქონია.

„ტფილისის კრძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელთა რაოდენობასა და კინაობაზე სხვადასხვა მონაცემი არსებობს. თვითონ დიმიტრი ყიფიანი საკუთარი თავის ჩათვლით 21 პირს ასახელებს,¹⁸ კოტე ყიფიანი კი 30-ს.¹⁹ ჩვენ „ბიბლიოთეკისადმი“ მიძღვნილ ერთ ადრინდელ ნაშრომში სხვადასხვა გარემოებათა გათვალისწინებით უპირატესობა კ. ყიფიანის სიას მივანიჭეთ,²⁰ მაგრამ ამის შემდეგ ვნახეთ კიდევ ერთი საბუთი, რომელმაც ჩვენი შეცდომა გამოააშკარავა. საქმე ეხება „ბიბლიოთეკის“ 1843-1844 წლების შემოსავალ-გასავლის წიგნს.²¹ როგორც ირკვევა, კ. ყიფიანის სწორჯ აქციან ამოუკრებია „ბიბლიოთეკის“ დაარსების შემდეგ შემატებულ წევრთა გვარები, დაუმატებია ისინი დამფუძნებელთა სიისთვის და ამ გზით მიუღია არა 21, როგორც სინამდვილეში ყოფილა, არამედ 30 წევრი. ასე რომ, ვიმურებთ, „ტფილისის კრძო ბიბლიოთეკას“ ჰყოლია 21 დამფუძნებელი წევრი,²² რომელთაც შემდგომში რიგით წევრებად დამატებია კიდევ 9 პირი.²³ ამას ვარდა, ერთ-ერთი საბუთის მიხედვით წესდების დამტკიცების შემდეგ კიდევ რამდენიმეს გამოუტქვამს „ბიბლიოთეკის“ საქმიანობაში მონაწილეობის სურვილი (ი. ანდრონიკაშვილს, ალ. საგინაშვილს, ი. მამაცაშვილს, დიმ. ორბეგლიანს),²⁴ მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ეს სურვილი ვეღარ განუხორციელებიათ, ყოველ შემთხვევაში, 1843-1844 წლების შემოსავალ-გასავლის წიგნში მათი სახელები არ ჩანს. ხოლო რაც შეეხება პერიოდს 1844 წლიდან ვიდრე დახურვამდე, რაიმე ახალი მონაცემი „ბიბლიოთეკის“ წევრთა შესახებ არ გაგვაჩინია.

მაქს. ბერძნიშვილი „ტფილისის კრძო ბიბლიოთეკის“ დამაარსებლებსა და წევრებს უწოდებს „საქართველოში სკოლის გარეშე განათლების პიონერებს“.²⁵ ხოლო თუ გავითვალისწინებთ 1840-იანი წლების საქართველოს მოშლილ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში განათლების გავრცელების სრულიად განსაკუთრებულ და სასიცოცხლო მნიშვნელობას, ვფიქრობთ, ინტერესმოქლებული არ იქნება, შეძლებისდაგვარად თვალი

გადავაკლოთ ამ „პიონერთა“ მოღვაწეობას ოოგორც „ბიბლიოთეკის“ ფარგლებში, ისე, საერთოდ, კულტურულ-საგანმანათლებლო სარმატული მით უმეტეს, ბევრი მათგანის სახელი დღეს დავიწყებასაა მიცემული.

„ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელი წევრები (მოგვყავს ანბანური რიგით):

1. არზანოვი ლავითი ნიკიტას ძმ, თავისი დროის კვალობაზე განათლებული და კულტურული ინტერესების მქონე პირი. 1829 წელს იგი თავის ძმასთან, - იაკობთან, - ქრთად ყიშლარში არსებს კეთილშობილთა პანსიონს.²⁶ მოგვიანებით კი, - 1840-იან წლებში, - მათ თბილისში აქვთ კერძო პანსიონი გახსნილი.²⁷ 1837 წელს არზანოვები თბილისში საკუთარ სტამბას აფეშნებენ,²⁸ სადაც ქართული წიგნებიც იძევდება და მათ შორის იოანე შავთელის „აბდულმესიანისა“²⁹ და ჩახრუხაძის „თამარიანის“³⁰ პლატონ იოსელიანისეული გამოცემები. 1838 წელს არზანოვებმა წამოიწყეს დიდად მნიშვნელოვანი საქმე - თბილისში ქართულ და სომხურ ენებზე უკრნალის გამოცემა „აღმოსავლეთის ფუტკარის“ სახელწოდებით, მაგრამ ეს წამოწყება ხელისუფლებამ ჩაშალა.³¹

დ. და ი. არზანოვებს გამოქვეყნებული აქვთ წიგნი სომხეთის ისტორიაზე,³² აგრეთვე, სომხური ენის გრამატიკა.³³

1847-1849 წლებში დავით არზანოვი ისტორიას ასწავლის თბილისის გიმანზიაში,³⁴ ხოლო 1850 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის საცენტრულ კომიტეტში მსახურობს ცენტორად.³⁵ იგი წევრი იყო „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოებისა“.³⁶

1880-იან წლებში, როცა დიმიტრი ყიფიანი „მემუარებს“ წერდა, დავით არზანოვი ცოცხალი აღარ იყო.³⁷ სხვა რამ ცნობა დ. არზანოვის დაბადება-გარდაცვალების თარიღებზე ჩვენთვის ხელმისაწვდომ წყაროებში არ აღმოჩნდა.

დ. არზანოვი ხელს აწერს „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობაზე,³⁸ ხოლო შემდგომი პერიოდის საბუთებში, მათ შორის 1843-1844 წლების შემოსავალ-გასავლის წიგნში,³⁹ მისი სახელი არ ჩანს.

2. ბარათაშვილი ნიკოლოზ მელიტონის ძმ (1817-1845), დიდი ქართველი პოეტი-რომანტიკოსი, რომლის საყოველთაოდ ცნობილი ბიოგრაფიის აქ გამუორებას, ცხადია, აზრი არა აქვს. იმის აღნიშვნა კი შეიძლება, რომ ნ. ბარათაშვილს ახლო მეცნიერებდა

„ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამაარსებელთან. დ. ყიფიანის შეუღლით, ნინო ჭილაშვილის თქმით, „ნიკო დიდი მეცნარი იყო დიმიტრიშვილის დილიდან საღამომდე ჩვენთან რჩებოდა: აქ საღილობდა, აქ ვაწმობდა, ეგაა მხოლოდ, ღამეს არ ათევდა ჩვენსას“.⁴⁰ თვითონ დიმიტრის უაღრესად საინტერესო მოგონება ნ. ბარათაშვილზე გამოქვეყნდული აქვს გიორგი ლეონიძეს.⁴¹

ნ. ბარათაშვილს ხელი აქვს მოწერილი „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობაზე,⁴² შეტანილი აქვს 1843 წლის საწევრო თანხა,⁴³ 1844 წლის სიაში⁴⁴ კი მისი სახელი არ ჩანს, რასაც შ. გოზალიშვილი პოეტის ხელმოკლეობით ხსნის.⁴⁵

3. ბეზაპი ნიკოლოზ პავლეს ძმ, 1830-იან წლებში კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის მმართველი,⁴⁶ 40-იანი წლების დასაწყისში - საქართველო-იმერეთის სახაზინო პალატის თავმჯდომარე,⁴⁷ 1846 წელს კი ამიერკავკასიის მხარის მთავარსამმართველოს საბჭოს წევრი.⁴⁸ ამის შემდეგ, ჩანს, ნ. ბეზაპმა დატოვა კავკასია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ხელმისაწვდომ წყაროებში მისი კვალი არ აღმოჩნდა.

ნ. ბეზაპი ავტორი იყო იმ საფინანსო რეფორმისა, რომელსაც 1840-იანი წლების საქართველო-იმერეთის გუბერნიაში საგადასახადო სისტემა უნდა მოწეროს რიგებინა.⁴⁹

ნ. ბეზაპი ქართველების სიძე იყო - ცოლად ჰყავდა სოფიი თრბელიანი, ბაქეშობაშივე გრიგოლ თრბელიანზე დაწინდული („ვაპირებ საქართველოში წასკლას, მაგრამ სოფიი გამითხოვდა, ბეზაპმა შეირთო, რომელიც არის პრავიტელი კანცელარიისა. რაი ვჰყო? მც ვანუგეშებ თავსა ჩემსა მით, რომ არა მარტო მე ვარ ამ სოფელში მოტყუებული“ -სწერდა 1836 წლის 1 ოქტომბერს გრ. ორბელიანი იმერეთის უქანასქელ დყდოფალს, მარიამ ქაცია II დადიანის ასულს⁵⁰).

ნ. ბეზაპი მმა იყო თავის დროზე მთელს რუსეთის იმპერიაში სახელგანთქმული გენერალ-ადიუტანტის, ალექსანდრე ბეზაპისა (1800-1868).⁵¹

ნიკოლოზ ბეზაპი ხელს აწერს „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობას⁵² და შეტანილი აქვს 1843-1844 წლების საწევრო თანხა.⁵³

4. დადიანი კონსტანტინე ლევანის ძმ (1819-1889), სამეცნიერო მთავრის, დავით დადიანის (1813-1853) ძმა. დამთავრებული



ჰერნდა პეტერბურგის პარტა კორპუსი. მონაწილეობდა ე.წ. პავლეს ულიცაზე რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 და 1877-1878 წლების ომებში, „1854 წლის ივნისი მეთაურობდა სამეცნიეროს მთელ მილიციას და განსაკუთრებით გათქვა სახელი 25 ოქტომბერის წნევურის სანაპიროზე, სოფელ კოკთან, გამართულ ბრძოლაში.“⁵⁴

კ. დადიანი იყო იმპერატორ ალექსანდრე II-ის ფლიგელ-ადიუტანტი.⁵⁵ 1870-იანი წლების დასასრულს მან გენერალ-ლეიტენანტის ჩინით დატოვა სამსახური; სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სენაკის მაზრაში მსახურობდა მომრიგებელ შეამავლად.⁵⁶

კ. დადიანი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი.⁵⁷ მის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში გურია-სამეცნიეროს გაისკონისმა გრიგოლ დადიანი ხაზი გაუსვა განსკვერებულის ღვთისმოსაობას, „პატიოსნებითა და კრიფულებითა მამულისა და ტახტის“ სამსახურს.⁵⁸

კონსტანტინე დადიანს ხელი აქვს მოწერილი „ტუილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობაზე⁵⁹ და შეტანილი აქვს როგორც 1843, ისე მომდევნო წლის საწვრო თანხა.⁶⁰

5. ერისთავი ელიზარ შანშას ძე (1810-1871), პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა 1832 წლის შეთქმულებას.⁶¹ მანამდე კი, - 1823-1830 წლებში, - ივი იმყოფებოდა პეტერბურგში, სადაც ჯერ კერძო პანიონში სწავლობდა, შემდეგ კი მიიღო სამხედრო-საარტილერიო განათლება,⁶² პეტერბურგშივე დაუახლოვდა დიმიტრი იულინის ტებატონიშვილს,⁶³ რომელმაც ელიზარი შეთქმულებაში ჩააბა. ⁶⁴ საქართველოში დაბრუნებისთანავე (1830 წ.) ე. ერისთავი შეთქმულების სათავეში მოქმედა: მისი უშუალო მონაწილეობით დატუშავდა აჯანყების გვერდი („პირველი დამის განკარგულება“) და სპეციალური შტაბიდან მასვე უნდა გაეწია საერთო ხელმძღვანელობა ამ გვერდის განხორციელებისთვის,⁶⁵ მირითადად მანვე ჩამოაყალიბა საქართველოს კონსტიტუციურ-მონარქიული მოწყობის პროექტი,⁶⁶ მას კონტაქტი ჰერნდა იმუმად ირანში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილთან, თავის ძმასთან, დიმიტრისთან ერთად კავშირი ჰერნდა თბილისში გადმოსახლებულ პოლონეთის აჯანყების მონაწილეობთან, რომლებიც საბრძოლო ოპერაციებში უნდა ჩაერთოთ⁶⁷ და ა.შ. სწორედ ელიზარ ერისთავმა (ალ. ორბელიანთან ერთად) შესთავაზა ს. დოდაშვილს აჯანყებისთვის საზოგადოებრივი აზრის მომზადების მიზნით პეტიონელი ორგანოს დაარსება,⁶⁸ მანვე დავალა გრ. ობელიანს კ. რილევის „ნალივაიკოს“

აღსარების“ თარგმნა⁶⁹ და, საერთოდ, კლიშბარ ქრისთავი და მონაწილეობდა შეთქმულთა იმ შეხვედრებში, სადაც ქართველ ხელმძღვანელებაში განათლების გავრცელებასა და საამისო პრაქტიკულ ღონისძიებებზე იყო საუბარი⁷⁰ (სხვაგვარად რომ ვთქვათ, ე. ერისთავი ქმედითად იყო ჩართული ს. დოდაშვილის საერთო ხელმძღვანელობით გაჩაღებულ კულტურულ-საგანმანათლებლო აღორძინების პროცესსა და მომავალი აჯანყებისათვის იდეოლოგიური ბაზის მომზადებაში).

შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ ე. ერისთავი, როგორც „ბოროტგანზრახულობის“ მოთავეთაგანს, მიესაჯა სიკედილი („ოთხად განკვეთა“),⁷¹ მაგრამ სასჯელი შეუცვალეს, მოაქციეს „დამნაშავეთა“ მეორე კატეგორიაში („ვინც იყვნენ შეთქმულების წამომწყებინ და სხვებსაც უბიძგებდნენ შეთქმულებისა და თვით აჯანყებისაკენ“)⁷² და ფინეთში მდგარი ერთ-ერთი პოლკის რიგით ჯარისკაცად განაწესეს (პელინგფორსში, დღევანდველ პელინკში).⁷³

სამშობლოში დაბრუნებული ე. ერისთავი სახელმწიფო სამსახურში ჩადგა და კარიერა გორის მაზრის უფროსის თანამდებობაზე დაასრულა პოლკოვნიკის ჩინით (სამსახურიდან გასულს გენერალ-მაიორის ხარისხი ებოდა).⁷⁴

ელიშბარ ერისთავი გარდაიცვალა 1871 წელს, გორში და იქვე, საკრებულო ტაძრის („სობოროს“) გალავანში დაკრძალეს⁷⁵ (ასე რომ, დიმიტრი ყიფიანი ცდება, როცა ე. ერისთავის გარდაცვალების თარიღად 1880-იან წლებს ასახელებს⁷⁶).

„ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ შემდეგ ე. ერისთავის კულტურულ-საგანმანათლებლო ასპარეზი, რამდენადაც ვიცით, ტერიტორიულად გორს არ გასცილებია: 1840-იან წლებში ივი წევრი იყო იმ ჯგუფისა, რომელსაც უაღრესად საინტერესო და ფართო პროგრამის ურნალის, „სინათლის“ გამოცემა სურდა⁷⁷ (ეს წამოწყება, სამწუხაროდ, ჩაიშალა). ე. ერისთავი ზრუნავდა ივანე კერესელიძის „ცისკარზე“. კერძოდ, მას გორის მაზრაში გასავრცელებლად გამოუწერია „ცისკრის“ 20 ეგზემპლარი და ურნალის რედაქტორის საგანგებო მაღლობაც დაუმსახურებია.⁷⁸

ელიშბარ ერისთავის ოჯახი გორში იქაური ინტელიგენციის თავშესაყარი (შეიძლება ითქვას, ინტელექტუალური „თავშესაფარიც“) და კულტურის მნიშვნელოვანი კერა იყო⁷⁹ (სხვათა შორის, მამის მიერ დამკავიდრებული ტრადიცია შემდგომში კლიშბარის შვილმა, ივანე ერისთავმა (1846-1919) გააგრძელა⁸⁰).

ე. ერისთავი ზრუნავდა ქართლში მრეწველობისა და მებაღეობის



განვითარებაზე, კერძოდ, სოფ. ლვარებში დარსებული პერიოდი⁸¹ შემთხვევაში ქარხანა და საქმის უკუ წარმართვის მიზნით საზღვარგარეთაც (ბოჭებიაში) იყო იქაურ სპეციალისტებთან საკონსულტაციოდ,⁸² უცხოეთიდან მოწვეული ჰყავდა მეხილეობის სპეციალისტები...⁸²

ე. ერისთავის მუდლებს, ქეთევან შალვა ერისთავის ასულს (1819-1907) ლექსი („ქეთევან“) უძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილმა.⁸³

ლიბარ ერისთავს ხელი აქვს მოწვრილი „ტფილის კრძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წვერობაზე,⁸⁴ შეტანილი აქვს 1843 წლის საწევრო თანხა,⁸⁵ 1844 წლის სიაში⁸⁶ კი მისი სახელი არ ჩანს (ამ წლს იგი უკვე გორშია და, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფურნალ „სინათლის“ დაფუძნებისთვის იღწის).

6. მრისთავი ზაქარია გიორგის ძე (1814-1850), ინფანტერიის გენერლის, ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალრის, გიორგი იესეს ძე ერისთავისა (1760-1863) და გაიანე გიორგი XII-ის ას. ბატონიშვილის (1780-1820) შვილი. 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებული კრთი საბუთით ირკვევა, რომ 1833 წელს იგი 19 წლისა ყოფილა⁸⁷ და, მაშასადმე, დაბადებულა 1814 წელს.

შეთქმულების მასალების მიხედვით ზ. ერისთავი შეთქმულთა „პეტერბურგის ჯგუფის“ აქტიური წევრი ჩანს. იგი რუსეთის სატახტო ქალაქში სამხედრო განათლების მისაღებად იმყოფებოდა (სწავლობდა პატთა კორპუსში⁸⁸) და დაახლოებული იყო იქ მცხოვრებ დიმიტრი იულიონის ძე ბატონიშვილთან (1803-1845) - შეთქმულების ერთ-ერთ ინიციატორთან. პეტერბურგში სპეციალურად დაარსებული საგამომზიდვლო კომისიის ცნობით, ზ. ერისთავი „ესტრებოდა კრებებს დიმიტრი ბატონიშვილთან, სადაც იმართებოდა აღმაშფოთებელი საუბრები საქართველოს გათავისუფლებისა და საამისო საშუალებათა შესახებ“,⁸⁹ თუმცა ზაქარიას „დანაშაული“ არ დაუმტკიცდა და გაათავისუფლეს სასჯელისგან. უნდა აღინიშნოს, რომ ზ. ერისთავი ეკუთხნილა შეთქმულთა იმ ფრთას, რომელიც პოლიტიკური და სამხედრო მუშაობის პარალელურად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა დამოუკიდებელი სახელმწიფო ბრიტი არსებობისთვის აუცილებელი იდეოლოგიურ-კულტურული ნიადაგის მომზადებასა და ამ მიზნით საგანმანათლებლო საქმიანობის გაშლას.⁹⁰

საქართველოში დაბრუნებულმა ზ. ერისთავმა სამხედრო საქმეს მოკიდა ხელი და მაღვევ მოიხვეჭა სახელი. მან თვით მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის ფურადღება დაიმსახურა. კერძოდ, ეს უკანასკნელი 1849



წელს კავკასიის მთავარმართებლად ნაშეოთ აღექსი ერმოლეულუშაბული (1861) სწერდა: ზ. ერისთავი „ყოველმხრივ შესანიშნავი ადამიანია და დიდია და პატარა ფაბარონს ასეთი უფროსი ჯერ არ ჰყოლიათ.“⁹¹ უკანასკნელ ხანს ზაქარია ჭარბელაქის ლექის უფროსი იყო და პოლკოვნიკის ჩინი ჰქონდა.

1850 წლის 4 აგვისტოს ზაქარია ერისთავი ზაქათალა-მუდანლოს გზაზე ლექმა ფასალებმა მოკლეს.⁹² ამ სამწუხარო ფაქტთან დაკავშირებით იმავე წლის 20 სექტემბერს გრიგოლ ორბელიანი თავის რძალს ქვევენს (ზაქარია ორბელიანის ცოლს) სწერდა: „ზაქარია ერისთავის სიკუდილი ეხლა შევიტყვე; აქამდის მიმალავდენ. - ოპ, რა ძლიერ შემაწუხა ამ ამბავმა! საბრალო მოხუცი მამამისი! აქამდის იმიტომ იცოცხლა, რომ უკანასკნელი იმჯილი თვისი დამარხოს თავის ხელით. საბრალო კლენე (ზ. ერისთავის მეუღლე - ელენე ლუარსაბის ასული ორბელიანი - თ.ჯ.)! ამოიფხვრა ეგ ოჯახიცა!“⁹³ (სხვათა შორის, არაერთ ხელნაწერ კრებულში შესული ლექსი „ვიშ რა გვიამას ხმაზე სათქმელი“ („დაუკარგე ფერითა მდიდრად შემკული...“) ერთხანს გიორგი იესეს მე ერისთავს მიეწერებოდა და იგი თითქოს ავტორმა შვილის, - ზაქარიას, - ტრაგიკული აღსასრულის გამო დაწურა. მაგრამ, როგორც ლ. ქუთათლაძემ გამოარკვა, სინამდვილეში ლექსის ავტორი გიორგი გვნატეს მე თუმანიშვილი (1774-1837) ყოფილა და ზაქარია ერისთავის დაღუპვა აქ არაუერ შუაშია).⁹⁴

ზაქარია ერისთავების ხელი აქვს მოწერილი „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამუუძნებელი ჯგუფის წევრობაზე.⁹⁵ ბიბლიოთეკის 1843-1844 წლების შემოსავალ-გასავლის წიგნის მიხედვით 1843 წელს მას შეტანილი აქვს საწევრო თანხა,⁹⁶ მომდევნო წლის სიაში⁹⁷ კი იგი არ ჩანს. უნდა ვიფიქროთ, სამსახურის გამო ზ. ერისთავი ამ დროს აღარ იმყოფებოდა თბილისში.

7. ვასილ პოვსკი სერგეი თედორეს ძე (გარდ. 1845), ეროვნებით უკრაინელი, კანდიდატის ხარისხით დამთავრებული ჰქონდა (1825 წ.) ხარკოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, 1838 წლიდან კი კავკასიაშია - მსახურობდა მთავარმართებლის საგანგებო დავალებათა მოხელედ, საქართველო-იმერეთის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორად, ხოლო სიცოცხლის უკანასკნელ წლებში - მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორად.⁹⁸ ამ უკანასკნელ თანამდებობაზე ყოფნისას იგი უშუალო უფროსი იყო დამიტრი ყიფიანისა, რომელიც ს. ვასილ ჭოვსკის ახასიათებს, როგორც „ფრიად საქმის კაცს,“



ნიჭიერს, კეთილგანმზრახველს, ოღონდ „გამოთქმის ნიჭის“ მოყვაბეჭელ პიროვნებას.⁹⁹ სიკედილის წინ ს. ვასილეკოვის კი ალექსანდრე ჭავჭავაძის შემდეგან ხელმძღვანელობითა და დახმარებით მუშაობდა საქართველოში წოდებრივი ურთიერთდომოკიდებულების მოსაწესრიგბელ ღონისძიებათა პროექტზე, მაგრამ ამ საქმის ბოლომდე მიყვანა არ დასცალდა.¹⁰⁰

სერგეი ვასილეკოვის ხელი აქვს მოწერილი „ტფილისის კურძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობაზე¹⁰¹ და შეტანილი აქვს 1843-1844 წლების საწევრო თანხა.¹⁰²

8. ზნაჩკო-იავორსკი მიხეილ მიხეილის ძმ, ეროვნებით უკრაინელი (მისი წინაპრები XVII საუკუნეში გადმოსახლებულან პოლონეთიდან უკრაინაში¹⁰³).

1846-1847 წლებში მ. ზნაჩკო-იავორსკი ამიერკავკასიის მხარის მთავარმართებლის კანცელარიის უფროისი ჩინოვნიერა, შემდგომ წლებში - სტავროპოლის გუბერნიის სამოქალაქო გუბერნატორის საგანგებო დავალებათა მოხელე, 1852 წელს კი ერვნის გუბერნიის პროკურორი.¹⁰⁴ 1858-1859 წლებში იგი შემახატი მსახურობს, ბევრი დიდად კმაყოფილია და იქიდან უგზავნის მაღლიერებით აღსავსე წერილებს დიმიტრი ყიფიანს - ჩემი კეთილდღეობა სულ თქვენი წყალობაო.¹⁰⁵

1880-იან წლებში, როცა დ. ყიფიანის „მემუარები“ იწერებოდა, მ. ზნაჩკო-იავორსკი ცოცხალი აღარ იყო.¹⁰⁶

მიხეილ ზნაჩკო-იავორსკი ხელს აწერს „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობას¹⁰⁷ და შეტანილი აქვს 1843-1844 წლების საწევრო თანხა.¹⁰⁸

9. თუმანიშვილი მიხეილ ბირთველის ძმ (1818-1875), სახელმწიფო და სახოგადო მოღვაწე, საიდუმლო მრჩეველი („ტაინი სოვეტნიკ“), მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური კრიტიკოსი, ენოგრაფი... მის. თუმანიშვილზე, საქმაო ლიტერატურა არსებობს და აქ მხოლოდ ზოგადად შევეხებით მის უდავო დამსახურებას ქართული კელტურის წინაშე.

მ. თუმანიშვილი ყმაწვილობიდანვე ჩაეხა აქტიურ კელტურულ-საგანმანათლებლო, ჟურნალისტურ და მწერლურ საქმიანობაში. კრძილ, 1830-იან წლებში, - ჯერ კიდევ თბილისის გიმნაზიის მოწაფე (სადაც, სხვათა შორის, ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად სწავლობდა და ახლო მევობრობაც აკავშირებდა ჩვენს დიდ პოეტთან), - იგი თაოსანი იყო



გიმნაზიის მოწაფეთა ცნობილი ზელნაწერი გამოცემებისა.¹⁰⁹

მ. თუმანიშვილი რომანტიზმის სკოლის პოეტია.¹¹⁰ მართალი, მისი ლექსები არაა მოკლეული გარკვეულ პოეტურ ღირსებებს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მათ ავტორს არ მოუხდენია რამდენადმე შესამჩნევი გავლენა იმ პერიოდის ლიტერატურულ პროცესებზე. მ. თუმანიშვილის მწერლური ვინაობა გაცილებით საინტერესო ჩანს, როგორც აღ. პუშკინის მთარგმნელისა.¹¹¹ იგი საინტერესო ფიგურაა, აგრეთვე, როგორც ლიტერატურისა და, განსაკუთრებით, თეატრალური კრიტიკოსი.¹¹²

მ. თუმანიშვილი დიდხანს მიიჩნეოდა ივანე კერესელიძის „ცისკარში“ გამოქვეყნებული „სალაფო ფურცლების“ ავტორად, მაგრამ, როგორც გამოირკვა, იგი ავტორი ყოფილა „მოლაფბის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული ერთადერთი ფელეტონისა.¹¹³

მიხეილ თუმანიშვილი დამფუძნებელი წევრი და ერთ-ერთი დირექტორი იყო „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“, თუმცა ამ საქმეს ბოლომდე არ შერჩენა. ყოველ შემთხვევაში, 1844 წლის შემოსავალ-გასავლის წიგნში¹¹⁴ იგი აღარ იხსენიება.

10. პოცხაუ თემორე ესტატეს ძმ, გერმანული წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე. 1826 წელს დაასრულა ცარსკოე-სელოს ლიცეუმი; მომდევნო წელს კი იგი კავკასიაში და საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიაში მსახურობს; 1842 წელს დაინიშნა ფუბის მაზრის უფროსად; კარიერა დაასრულა 1860 წელს კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრის თანამდებობაზე.¹¹⁵ ვეიქრობთ, ეს ის „ერთი ლუთერანი პოლკოვნიკი ქაცებურ“ უნდა იყოს, რომელიც 1840-იან წლებში ახალციხეშია ჩასული და იმიტბს კათოლიკ პატრიარქის წინამდევრის, დამაზუ ვიარევინელისა და მღვდელ დავით-პავლე შაჟელიანს (1769-1854) შორის წარმოქმნილ კონფლიქტს.¹¹⁶

თ. კოცებუ ხელს აწერს „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობას,¹¹⁷ შეტანილი აქვს 1843 წლის საწევრო თანხა,¹¹⁸ 1844 წლის შემოსავალ-გასავლის სიაში¹¹⁹ კი მიხი სახელი არ ჩანს.

11. მალიძიშვილი ლევან ივანეს ძე (1817-1892), რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი და კავალერიის გენერალი, ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი (ებობა 1883წ),¹²⁰ თვალსაჩინო ფიგურა ეწ. კავკასიის ომებში (მონაწილეობდა ლუნიძის აღგაში, რისთვისაც გენერალ-ლეიტენანტის ხარისხი მიიღო¹²¹); 1877 წელს დანიშნეს დაღესტნის



ოლქის მმართველად და ოლქის ჯარების სარდლად, ხოლო 1880-1881 წლებში თბილისში გადმოიყვანეს მეფისნაცვლისა და კავკასიის ჯარების მთავარსარდლის თანაშემწედ (მთადეილედ); 1882 წლიდან - სახელმწიფო საბჭოს წევრი.¹²² 1887 წელს თბილისში დღიდ ამბოთ იღლესასწაულეს და მელიქიშვილის სამხედრო მოღვაწეობის 50 წლისთავი.¹²³ სამადლობელ სიტყვაში იუბილარმა ასე ჩამოაყალიბა თავისი ცხოვრებისეული კრედიტი: „აზრი ჩემის სამსახურისა და სიცოცხლისა ის იყო, რომ ურთვეულად და სიმართლით მემსახურნა ჩემის ხელმწიფისა და მამულისათვის, ჩემის ძალისა და შეძლებისამებრ ვყოფილიყავ სასარგებლო ჩევნის ძვირფასის კავკასიისა“¹²⁴ და დასხინა: მიზანს მივაღწიე და „მოხუცებულობის ფასს მე დამშვიდებით ჩავალ საფლავსი“¹²⁵.

ლევან მელიქიშვილი გარდაცვალა 1892 წლის 22 თებერვალს „ინფლუენციით, რომელსაც ზედ დაერთო ფილტვების ანთება“¹²⁶ დაკრძალულია მთაწმინდაზე, მამადავითის კლებისაში.¹²⁷ მოუხედავად არაერთ პატრიოტულ წამოწყბაში განსვენებულის მონაწილეობისა, სახულის წრები, ჩანს, მაინც არ იყვნენ მისით კმაყოფილნი, რაც გამომქვევნდა კიდეც დაკრძალვაზე, კაისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის (1824-1907) მიერ წარმოთქმულ სიტყვაში: „საქებურ-სადიდებელი და პატივსაცემი კაცი იყავ, მაგრამ უფრო მეტად სადიდებელი იქნებოდი, ეკლესიისა და მონასტრებისთვისაც რომ მიგეხდა და ამათვისაც გეწყალობებინა რამე, როგორც სომეხთა შეძლებულნი კაცნი სჩადიანო“¹²⁸.

ლ. მელიქიშვილი სიყრმის მეობარი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილისა (ერთად სწავლობდნენ გიმნაზიაში). იგი ჩევნის გამოჩენილ პოეტთან კრთად წევრი იყო გიმნაზიის მოწაფეთა ლიტერატურული წრისა, რომელიც 1830-იან წლებში ხელნაწერ ჟურნალებს უშევდა. კრძოლ, ლ. მელიქიშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული „თბილისის გიმნაზიის ყვავლის“ („Цветок Тифлисской гимназии“) შედეგაში¹²⁹ და აქვე, - მე-4, სამწესაროდ, დაკარგულ, ნომერში, პროზის განყოფილებაში, - მოთავსებული ყოფილი მისი თხზულება „წერილები საქართველოდან“¹³⁰ პოეტისა და მომავალი გნერლის ახლო მეობრული ურთიერთობა გიმნაზიის დამთავრების შედევგაც გაგრძელდა. მათი თანატოლი და თანამოაზრე კონსტანტინე მამაცაშვილი (1815-1893) მოგვიანებით ივონებდა: იმ დროს „საზოგადო გასართობელი ადგილი არა გვქონდა: არც თეატრები, არც კონცერტები, არც კლუბები... ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან ლ. ი. მელიქიშვილთან... ჩვენი დროის გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, სხვა და სხვა



ჩვენს გარემოებაზედო.¹³¹ სხვათა შორის, ერთ-ერთ ასეთ შექმნებულებას გარათაშვილის ოჯახში და ლ. მელიქიშვილის მონაწილეობით, - იმავე კ. მამაცაშვილის მოგონების თანახმად, - ახალგაზრდებს საქართველოს ისტორიის შედეგანა გადაუწყვეტიათ და სამუშაოც გაუნაწილებიათ პოტების მიხედვით.¹³² სწორედ ლ. მელიქიშვილმა წაიყვანა თავის თანაშემწედ 1844 წლის ნოემბერში ნ. ბარათაშვილი ნახირევანში, სადაც ისინი მომდევნო წლის მარტამდე დარჩენენ. ნ. ბარათაშვილის ცნობილ წერილებში მაიკო ორბელიანისადმი (1818-1849) არაერთხელ გვხვდება სახელი ლ. მელიქიშვილისა, რომლის ამაღლვებელი და ტრაგიკული სასიყვარულო ურთიერთობაც მაიკოსთან¹³³ ქართულ არისტოკრატულ ოჯახებში დიდხანს იყო ათასგვარი მითქმა-მოთქმის საბაბი.

1845 წელს განუყრელი მეგობრის გარდაცვალებით თავზარდაცემული ლ. მელიქიშვილი გრიგოლ ორბელიანს სწერდა: „მძიმეა, ჩემი გრიგოლ, მძიმეა ისეთი ადამიანის დაკარგვა, რომელიც თავისი თბილი გულითა და სათნო სულით საშუალებას გვაძლევდა, შევგუყბოდით ადამიანებს, ამ არარაობებს, უძლურ, გულშავ, ღვარძლიან არსებებს. მნელია სულით დაობლება! და განა მარტო მე განვიცადე ასეთი საზარელი დანაკლისი! საქართველომ მისი სახით დაკარგა ადამიანი, რომელსაც მთელი თავისი პოეტური არსებით უყვარდა სამშობლო და ამ სიყვარულს ყველა ადამიანურ მოვალეობაზე მაღლა აყენებდა; დაკარგა ბრწყინვალე ნიჭის საცეცო ყმაწვილი კაცი, რომლისგანაც მოელოდა გაცილებით მეტს, ვიდრე სხვა რომელიმე ახალგაზრდა შვილისგან.

მე, შეიძლება, კოდლავდე კიდევც, მაგრამ არც ამის უთქმელობა შემიძლია: სადაა ის ღვთის სამართალი, რომელსაც განუწყვეტლივ ჩაგრინინებენ. რისთვის გახდა საჭირო, მეგობრებისათვის ასე ნაადრევად წაერთმიათ მეგობარი, სამშობლოსთვის - მისი მოყვარული და ერთგული, ბრწყინვალე ნიჭის შვილი, მშობლებისთვის - სიცოცხლით აღსავსე პირშო და უკანასენელი დასაყრდენი. მითხარი, მითხარი, სად ხედავ აქ სამართალს?¹³⁴

იმავე წერილში ლ. მელიქიშვილი კრ. ორბელიანს სწერს: რევაზ ანდორონიკაშვილთან შევიკრიბეთ სადილზე და ყაფლანს (ალბათ, ყაფლან ორბელიანს - თ. ჯ.) ვთხოვთ, „სულო ბოროტო“ ქლერა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც მას და, საერთოდ, არც ერთს იქ მყოფთაგან არც ახსოვდა და არც ჰქონდა ეს შესანიშნავი ლექსი. მაშინ მივხვდით, რომ ნ. ბარათაშვილის შემოქმედება იღუპებოდა. ამიტომ პოეტის შემოქმედებითი მეტყვიდრეობის შეკრება და მისი გამოცემა განვიზრახეთო. საამისოდ ფულიც შეუკრებიათ.



მაგრამ საქმისთვის თავი ვერ მოუბამო და ფული პოეტის მამე^{მამული მოწოდების} მელიტონისთვის, - გადაუციათ.¹³⁵

ღ. მელიქიშვილი ზრუნავდა კულტურისა და განათლების გავრცელებაზე როგორც საქათარ სამშობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც: 1861 წელს მან თემირ-ხან-შერაში (ამჟამად ქ. ბუნიაქსკი დაღესტანში) დაარარსა სკოლა პანსიონითურთ.¹³⁶ იქვე თავისი მეუღლის, ალექსანდრა მამუკა (მაკარ) ორბელიანის ასულის დახმარებით გახსნა ქალთა სასწავლებელი.¹³⁷ ღ. მელიქიშვილი დამფუძნებელი წევრი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა.“¹³⁸ 1880-1883 წლებში იგი თავმჯდომარეობდა „რუსთავის საიმპერატორო გოგრაფიული საზოგადოების“ ქავკასიის განყოფილებას.¹³⁹

ღ. მელიქიშვილი ხელს აწერს „ტფილისის კრიმი ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობაზე,¹⁴⁰ შეტანილი აქვს 1843 წლის თანხა,¹⁴¹ 1844 წლის სიაში¹⁴² კი იგი არ ჩანს.

12. რნიკაშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (გარდ. 1885), თავის დროზე ცნობილი მწიგნობრისა და კალიგრაფის, იოანე ბატონიშვილის მდივნის, ნიკოლოზ ონიკაშვილის შვილი. ალექსანდრე რამდენჯერმეა მოხსენიებული 1832 წლის შეთქმულების საგამომბიებლო კომისიის მასალებში. კერძოდ, ისევ ფალავანდიშვილის ურთ-ერთი ჩევნების მიხედვით აღ. ონიკაშვილისთვის აჯანყების განზრახვა ალექსანდრე ორბელიანს გაუმჯდავნებია.¹⁴³ მართალია, აღ. ორბელიანი ამას უარყოფს,¹⁴⁴ მაგრამ ამგარი გატრაფარეტებული უარყოფა, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს დასაჯერებელი.

1844-1845 წლებში აღ. ონიკაშვილი „ქართული მილიციის“ ოფიცერია და თავის ძმასთან, - სოლომონთან (აგრეთვე შეოქმულთან)¹⁴⁵, - ერთად დაღესტანში იძრმვის,¹⁴⁶ 1847 წელს კი იგი წევრია იმ ჯგუფისა (მაკარ ორბელიანი, იაკინთე ალექსი-მესხიშვილი, ალექსანდრე თუმანიშვილი), რომელსაც ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების გამოცემა აქვს განზრახული.¹⁴⁷

აღ. ონიკაშვილი დამფუძნებელი წევრი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“,¹⁴⁸ მას დარჩა უძვირფასები ბიბლიოთეკა (წიგნები, მექლი ქართული ხელნაწერები). აღ. ონიკაშვილის ურთ-ერთ მემკვიდრეს ეს ბიბლიოთეკა „უფოთობით მიუყიდნია ერთ ვიღაც მეღვენისთვის, რომელსაც დაუხევია ხელნაწერები და წიგნები და პარკები გაუკეთებია მათვან“.¹⁴⁹ „ვასტანგ მეუისაგან გამოცემული, ვეფხვის ტყაოსანი“ - ს ფურცლები სულ ქუჩაში ეყარაო“ - იუწყებოდა უურნალ „მწყემსის“

ანონიმი კორესპონდენტი.¹⁵⁰

ქ. ბეჭედის სახელმის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია აღ. ონიგაშვილის რამდენიმე პირადი წერილი დიმიტრი ყიფიანისადმი, ¹⁵¹ საიდანაც ირკვევა, რომ 1850-იანი წლების ბოლოს აღექსანდრე პეტერბურგში ყოფილა და იქ ახლო ურთიერთობა ჰქონდა ეკატერინე ჭავჭავაძესთან.

აღექსანდრე ონიგაშვილი ხელს აწერს „ტფილისის ქერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობას¹⁵² და შეტანილი აქვს 1843-1844 წლების საწევრო თანხა.¹⁵³

13. რობერტიანი ბრიბოლ დიმიტრის (ზურაბის) ძე (1804-1883), პოეტი, საზოგადო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი და ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი. გრ. ორბელიანის, ისვევ როგორც აღექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფიები, - მათი ბრწყინვალე შემოქმედებითი მექქიდრეობის გამო, - საფუძლიანადაა შესწავლილ-გამოცემული და, შესაბამისად, ცნობილია საზოგადოებისთვის. ამიტომ აქ „ტფილისის ქრძო ბიბლიოთეკაში“ მათი მოღვაწეობით შემოვიჟარებულია. კერძოდ, გრიგოლ ორბელიანი ხელს აწერს „ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობაზე,¹⁵⁴ შემდგომი პერიოდის საბუთებში კი მისი სახელი არ ჩანს. ეს არცაა გასაკვირი - 1843 წელს მას აეარიის მმართველად ნიშნავენ და იგი დიდი ხნით სწყდება თბილისს.

14. რობერტიანი ვახტანგ ვახტანგის ძე (1812-1890), პოეტი, საზოგადო მოღვაწე, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. იგი ხელს აწერს „ბიბლიოთეკის“ წევრობაზე¹⁵⁵ და შეტანილი აქვს როგორც 1843,¹⁵⁶ ისე მომდევნო წლის¹⁵⁷ საწევრო თანხა.

15. რობერტიანი ზაქარია დიმიტრის (ზურაბის) ძე (1806-1847), უმცროსი მაა გრიგოლ ორბელიანისა. სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომლის ხელმძღვანელობასაც იგი განსაკუთრებული სიბეჭითისთვის 1817 წელს დაუკიდლდობდა კიდეც.¹⁵⁸ ზ. ორბელიანი სამხედრო სამსახურს გაჰყვა, მონაწილეობდა 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში (თავი გამოიჩინა არზრუმთან გამართულ ბრძოლაში), 1830-1831 წლების პოლონეთის აჯანყების ჩაბობაში, ე. წ. ქავესისის ომში, სადაც პოლკოვნიკობამდე მიაღწია. 1847 წლის 11 ივნისს ქოლერით გარდაიცვალა დაღესტანში.¹⁵⁹ დაკრძალულია ქაშვეთის

ზ. ორბელიანი ქართული მწერლობის ისტორიაში შევდაცარებული მის, გრიგოლ ორბელიანისა¹⁶⁰ და დისწულის, ნიკოლოზ ბარათაშვილის¹⁶¹ წერილების აღრესატი. გამოქვეყნებულია თვითონ ზაქარიას ორი წერილიც გრ. ორბელიანისადმი. აქედან ერთი სრულად¹⁶² (წერილში უაღრესად საინტერესო ცნობებია ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახის ქონებრივ მდგრმარეობაზე), ხოლო მეორე - ფრაგმენტულად¹⁶³ (აյ არის საინტერესო ცნობები მთავარმართობელ გრ. ორზენის მიერ გამართულ მეცნისა და მასზე წარმოდგენილ „ცოცხალ სურათებზე“, აგრეთვე, აღვესანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილების, - განსაკუთრებით ნინოს, - შეუდარებელ სილამაზეზე). რაც შეეხება ზაქარია ორბელიანის კულტურულ-საგანმანათლებლო ინტერესებს, გარდა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ წევრობისა, სხვა რამ მასალა ამ საკითხზე არ მოგვეპოვება. მხოლოდ იმის აღნიშვნა კი შეიძლება, რომ გრ. ორბელიანის თავისი ლექსი „იარალისადმი“ რუსეთიდან თბილისში სწორებ ზაქარიასთვის გამოუყ ზავნია თხოვნით, „გადაათვალიერე და შენი აზრი მაცნობელ“. ¹⁶⁴ ეს უკანასკნელი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ზ. ორბელიანი არ უნდა ყოფილიყო მოკლებული ლიტერატურულ გემოვნებას. ხოლო რაც შეეხება „ბიბლიოთეკას“, ზაქარიას ხელი აქვს მოწერილი დამფუძნებელ წევრობაზე,¹⁶⁵ შეტანილი აქვს 1843 წლის საწვრო თანხა,¹⁶⁶ 1844 წლის სიაში¹⁶⁷ კი იგი უკვე აღარ ჩანს.

16. ორბელიანი ივანე დავითის ძე (1825-1893), შეილი „ჩვენებურ მადამ რეკამიე“ წოდებული მანანა ორბელიანისა (1808-1870). ივანეს ბავშვობაზე ჭუნწ ცნობებს ვპოულობთ მანანას ერთ ბარათში ვრ. ორბელიანისადმი: „ივანე პანსიონში მყავს და სწავლობს, რაც შეეფერება. გიორგი ავალოვსა ვსიხოვე მოსკოვში თავის თვალფურის გდება და მინდა იქ გავვ ზავნო და ჯერ პასუხი არ მომსვლია. ფრანციცულს კი ლაპარაკობს ცოტად და სწერს, კითხვითაც კითხულობს“. ¹⁶⁸ სხვა რამ ცნობა ი. ორბელიანის სწავლა-განათლებაზე ჩვენთვის უცნობია. მოგვიანებით ი. ორბელიანი მონაწილეობდა ე. წ. კავკასიის ომებში. ერთხანს იგი მეფისნაცვალი ი. ბარიატინსკის (1815-1879) ადიუტანტი იყო¹⁶⁹ („ივანე ორბელიანი აღწერანტი მიდის ამ დღეებში ჩაჩანში სამხრალო“ - სწერდა 1859 წლის იანვარში გრ. ორბელიანი დიმიტრი ჯორჯაძეს¹⁷⁰).

ივანე ორბელიანს, ჩანს, არ აქლდა საერთოდ მისი წრისთვის დამახასიათებელი კოლონიტულობა. ქ. ბოროზდინი (1828-1896) თავის

ცნობილ მემუარებში მას ახასიათებს, როგორც „ქვიფის მოყვარე ქაცი“, რომელიც 1858 წელს ფოთის სანავსადგურო ქალაქად ტურქეთიდან მომდინარეობდა, ოფიციალურ ცერემონიალზე მეზურნების დასტიტ გამოცხადებულა. „ზურნის ხმა პირველად მოვფინა ფოთის, - დასმენს კ. ბოროზდინი, - და ჩვენც, საქართველო შეღვინიანების შემდეგ, საამოდ გვეწვეთებოდა ყურში ეს ხმა“¹⁷¹.

ივანე ორბელიანი გარდაიცვალა გენერალ-მაიორის ჩინით, დაკრძალულია ქაშვეთის ტაძრის გალავანში.¹⁷²

ი. ორბელიანი 17-18 წლის ყმაწვილია, როცა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელთა შორის კხედავთ. ოუმცა, როგორც ჩანს, მას ყმაწვილკაცობაშივე დაპარგვია ამგვარ ღონისძიებებში მონაწილეობის სურვილი. ყოველ შემთხვევაში, შემდგომი ხანის კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში მისი მონაწილეობის კვალი ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ.

ივანე ორბელიანი ხელს აწერს „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობაზე,¹⁷³ შეტანილი აქეს 1843 წლის საწევრო თანხა,¹⁷⁴ 1844 წლის სიაში¹⁷⁵ კი მისი სახელი არ ჩანს.

17. ორლოვსკი პრისტანტინე ივანეს ძე (გარდ. 1876), პოლონერი წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე, მნიშვნელოვანი ფიგურა ამიურკავკასიის ადმინისტრაციაში; სხვადასხვა წლებში მსახურობდა მთავარსამსართველოს კანცელარიაში, ქრევნის მაზრის მოსამართლედ, ქრევნის გუბერნატორის მრჩევლად...¹⁷⁶ 1865 წელს დაიშნეს თბილისის გუბერნატორად და სიცოცხლის ბოლომდე შერჩა ამ თანამდებობას. მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით „დროება“ იუწყებოდა: „ამისთანა ჭკვიანი აღმინისტრატორის დაკარგვა ჩვენის ქვეყნისათვის უმჯობეს დანაკლისს შეადგენს“.¹⁷⁷

კ. ორლოვსკი „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოებისა“¹⁷⁸ და „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“¹⁷⁹ წევრი იყო. მან სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა ახლო ურთიერთობა დიმიტრი ყიფიანთან. ამის თაობაზე დიმიტრის ვაჟი, ნიკოლოზ ყიფიანი იკონებდა: „მახსოვს, გუბერნატორი ორლოვსკი, რაკი რამე ძნელი საგანი შეხვდებოდა თავის გუბერნატორობაში, მოადგებოდა ხოლმე მამაჩემს. თვითონ ძალიან ჭკვიანი და ძალიან გამჭრიახე, ყოვლისუერში გამოცდილი კაცი იყო ორლოვსკი (რუსულად რომ იტყვიან - Человек тонкого ума), მაგრამ მაინც უყვარდა თავისი აზრები, თავის საწადელები და პროექტები გაეზიარებდა დიმ. ყიფიანისათვის“.¹⁸⁰

კონსტანტინე ორლოვსკი ხელს აწერს „ტფილისის კერძო



ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობას,¹⁸¹ შეტანილი აქვს 1843 წლის
საწევრო თანხა,¹⁸² 1844 წლის სიაში¹⁸³ კი მისი სახელი არ ჩანაცნობილია
გვიპარებული.

18. ფალავანდიშვილი ზაქარია მიხეილის ძე (1818-1845), დაიბადა და აღიზარდა მწიგონბრისა და სასულიერო უწყების
თარჯიმნის, მიხეილ იოსების ძე ფალავანდიშვილის (გარდ. 1821) ოჯახში.
დედის ხაზით იგი საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი ამბროსი
ნეკრესელის (1728-1815) შვილიშვილი იყო. აღრე დაობლებული ზაქარია
გაზარდა ბიძამ - საქართველოში რუსიფიკატორული პოლიტიკის ურთ-
ერობა ბურჯმა, საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორმა (1832-1838წწ.)
ნიკოლოზ ფალავანდიშვილმა (გარდ. 1855), 1832 წლის შეთქმულების
გამცემის, იასე ფალავანდიშვილის უფროსმა ძმამ. ზაქარია არ გაჰყვა
ბიძების კვალს. იგი თავისი ხანძოელე სიცოცხლის მანძილზე დაუდალავად
იღწოდა ქართული კულტურის აღორძინება-განვითარებისათვის.

თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ზ. ფალავანდიშვილი
მოსკოვს გაემგზავრა, სადაც სწავლობდა ჯერ ლაზარევის აღმოსავლურ
ქათა ინსტიტუტში, შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში, საიდანაც გადავიდა
პეტერბურგის უნივერსიტეტში და დამთავრა იგი 1840 წელს.¹⁸⁴ სამშობლოში
დაბრუნებული (1841 წლის იანვარი) ზ. ფალავანდიშვილი ჯერ მსახურობდა
„სახელმწიფო ქონების საქართველო-იმპერიის პალატაში“, შემდეგ კი
კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში¹⁸⁵ „პოლეგიის მდივნის“
„კოლექსეკი სეკრეტარ“) ჩინით.¹⁸⁶

1838 წელს ზ. ფალავანდიშვილმა გაიცნო მოსკოვში სამეცნიერო
მილინებით ჩასული მარი ბროსე, ეს ნაცნობობა გაგრძელდა პეტერბურგშიც
და გადაიზარდა მეცნიერობასა და მჭიდრო თანამშრომლობაში - შემდგომში
ზაქარია მარი ბროსეს თბილისიდან პეტერბურგში ატყობინებდა ქართულ
საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ სიახლეებს, სისტემატურად აწვდიდა
მეცნიერული ხასიათის ინფორმაციას. კურძოდ, იგი დაეხმარა ფრანგ
ქართველობის ვახუშტი ბაგრატიონის ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალის
დადგენაში, აღუწერა ვახუშტის ხელნაწერი კრებული, უგზავნიდა მასალებს
საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის,
ზეპირსიტყვიერების, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის საკითხებზე.¹⁸⁷

1840 წელს ზ. ფალავანდიშვილი „რუსეთის სახალხო განათლების
სამინისტროს ფურნალის“ ოქტომბრის ნომერში აკვენებს თავის პირველ
ნაშრომს - რეცენზიას დავით ჩუბინაშვილის მიერ შედგენილ ქართულ-
რუსულ-ფრანგულ ლექსიკონზე. ნაშრომში ავტორი იძლევა საფუძლიან



შენიშვნებს ლექსიკონის ზოგიერთი სიტყვის განმარტებაზე. ამასთანავე, მიმოიხილავს ქართული ლექსიკოგრაფიის მოკლე ისტორიას უძლიერი და საბა ორბელიანის ბიოგრაფიას, მის ლექსიკოლოგიურ მოღვაწეობასა და ლიტერატურულ მემკვიდრეობას...

ზ. ფალავანდიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი იყო (მარი ბროსესა და დავით ჩუბინაშვილთან ერთად).¹⁸⁸ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ზ. ფალავანდიშვილს განზრახული პქნია „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა ფრანგულ¹⁸⁹ (სხვა ცნობით - რუსულ¹⁹⁰) ენაზე, აგრეთვე, ვაჟუშტის „გვაგრაფიის“ თარგმნა რუსულად (ეს საქმე პრაქტიკულადაც დაუწყია¹⁹¹), მაგრამ მის ყველა განზრახულობას ნაადრევმა სიკვდილმა დაუსვა წერტილი. ნაადრევმა სიკვდილმა არ დააცალა ზ. ფალავანდიშვილს კიდევ ერთი დიდად მნიშვნელოვანი საქმის ბოლომდე მიყვანა - მეტისმეტად მჭლე და უფერული გაზრის, „კავკასიის მხარეთა უწყებანის“ გადაქცევა ისეთ პერიოდულ ორგანოდ, რომელიც დააკმაყოფილებდა მაშინდელი ქართველი საზოგადოებრიობის ინფორმაციულსა თუ კულტურულ-საგანმანათლებლო მოთხოვნილებებსა და ინტერესებს (ეს იმ პერიოდის ერთადერთი ქართული პერიოდული გამოცემა პლატონ იოსელიანის რედაქტორობით გამომავალი „ზაქავეკაზესკი ვესტნიკის“ ოფიციალური ნაწილის ქართული დუბლიკატი იყო). მართალია, „კავკასიის მხარეთა უწყებანში“ ზ. ფალავანდიშვილის სახელი მითითებულია, როგორც მთარგმნელისა, მაგრამ სინამდვილეში იყი გაზრის ფაქტობრივი ხელმძღვანელი იყო. ზაქარია აპირებდა გაზრი დაემორებინა რუსული დედნისათვის და შეძლებისდაგვარად დაუხლოებინა ქართველი საზოგადოებრიობის ინტერესებთან.

ზ. ფალავანდიშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა 1845 წლის 10 ივნისს, თბილისში, დაჯობლებ მთარგმნიდის სასაფლაოზე, რომლის პანთოგნად გადაკეთების შემდეგაც მისი საფლავი დაიკარგა.¹⁹²

ზაქარია ფალავანდიშვილი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დიმიტრი ყიფიანის შემდეგ მთავარ ფიგურას წარმოადგენდა „ტფილისის კრძო ბიბლიოთეკაში“. მისი სიკვდილი მძიმე დანაკლისი იყო არა მარტო „ბიბლიოთეკისათვის“, არამედ, საერთოდ, ქართული კულტურის მომავლისათვის და ამ მხრივ შეუძლებელია არ დავვთანხმოთ მარი ბროსეს, რომლის სიტყვებითაც, „მომავალში [ზ. ფალავანდიშვილს] შეეძლო დადი სამსახური გაეწია თავისი სამშობლოსათვის“.¹⁹³

19. ყიფიანი დიმიტრი ივანეს ძე (1811-1887), საზოგადო



მოღვაწე, მწერალი, მკუნიერი, პუბლიცისტი, დიდად მნიშვნელოვანი ფიგურა XIX საუკუნის ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი და მოძრაობის ისტორიაში. დ. ყიფიანს საზოგადოებრივ-კულტურულ საჭიროებათა შეგრძების განსაკუიტორებელი უნარი პქონდა - გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყიდვებული, ვიდრე 80-იანის დასასრულამდე, საქართველოში იშვიათია ნაციონალური მიზანდასახულობის რამდენამდე მნიშვნელოვანი სასიკუთო წამოწყება, რომლის ინიციატორი, ხელმძღვანელი ან აქტიური მონაწილე იყო არ ყოფილიყო (პროფესიული ქართული თეატრი, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმაჟულო ბანკი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარცელებელი საზოგადოება“, „ქართული დრამატიული საზოგადოება“ და სხვ.).

1840-იან წლებში დიმიტრი ყიფიანმა ჩამოაყალიბა ნაციონალური ხსნის პროგრამა, რომელიც გულისხმობდა ინტენსიური კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გამლით საერთო-ეროვნულ თვითშევნების აღდგენა-გაძლიერებასა და ამ საშუალებით იმპერიის ფარგლებშივე ქართველი ხალხის, როგორც ნაციონალურ-ინდივიდუალური ორგანიზმის, კონიკური, კონფესიქლოგიური და კულტურული თავისთავადობის შენარჩუნებასა და განვითარებას.¹⁹⁴ „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დაფუძნება დ. ყიფიანისთვის პრივატული სერიოზული ნაბიჯი იყო ამ პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის გზაზე.

20. ჭავჭავაძე დავით ალექსანდრეს ძე (1818-1884), გენერალ-ლეიტენანტი და იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი (1854 წლიდან), პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძისა და სალომე ივანეს (იოანეს) ას. ორბელიანის (გარდ. 1847წ., დაკრძალულია მთაწმინდაზე, მამადავითის ტაძარში) ვაჟი; სამხედრო განათლება პქონდა პეტერბურგში მიღებული.¹⁹⁵ მონაწილეობდა ე.წ. კავკასიისა და რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წლების ომებში. 1854 წლის დელისში, როცა შილდას შამილის მოლაშერები დაეცნენ, დ. ჭავჭავაძე იქ თავდაცვით ოპერაციებს ხელმძღვანელობდა, ამ დროს ლეკტერი წინანდალში თვითონ დავითის სახლ-კარი გაძარცეს და დაწვეს, მისი ოჯახის წევრები კი ტკვედ წაასხეს.¹⁹⁶ დ. ჭავჭავაძის მეუღლესთან, ანა ილია ბატონიშვილის ასულთან (1828-1905) შეხვედრა აღწერილი აქვს აღ. დიუმა-მამას თავის ცნობილ „კავკასიაში“.¹⁹⁷

დავით ჭავჭავაძეს ახლო ურთიერთობა პქონდა რუს პოეტ იაკობ პოლონეკისთან (1819-1898), რომელმაც თავის ქართველ მეგობარს უძღვნა ლექსი „ქახელს“ („ხახელი“).¹⁹⁸

დ. ჭავჭავაძე და მისი მეუღლე დაკრძალული არიან შუამთაში²⁰⁴
დ. ჭავჭავაძის კულტურულ-საგანმანათლებლო ინტერესებზე მეტად
მწირი ცნობებია შემორჩენილი. კერძოდ, ჩვენთვის ისლაა ცნობილი „რეაქციული“
1873 წლის ივლისში წინანდალში, დავითის სახლში და, უნდა ვიფიქროთ,
მისივე მონაწილეობით გამართულა თავადაზნაურობის კრება „საქალებო
სასწავლებლის“ გახსნის შესახებ.²⁰⁵

დავით ჭავჭავაძეს ხელი აქვს მოწერილი „ტფილისის კერძო
ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობაზე,²⁰⁶ შემდგომში კი იგი, - ჩვენთვის
უცნობ მიზეზთა გამო, - ჩამოშორებია ამ საქმეს.

21. პორჯაპე დიმიტრი დავითის ძე (1821-1883),
სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მეფისნაცვლის საბჭოს წევრი,
„საიდუმლო მრჩეველი“ („ტანი სოვეტნიკ“); 1854-1872 წლებში დაღესტანში
მსახურობდა სამოქალაქო საქმეთა მმართველად.²⁰⁷

1867 წელს დ. ჯორჯაძე აირჩიეს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის
დამარსებელი კომიტეტის წევრად.²⁰⁸ იგი დამფუძნებელი წევრი იყო
„ქართველთა შორის წერა-კითხის გამარცელებელი საზოგადოებისა“,²⁰⁹
ერთ ხანს თავმჯდომარეობდა „ქავეგასიის სოფლის მეურნეობის
საზოგადოებას“.²¹⁰ დ. ჯორჯაძეს ლექსი უძღვნა ნინო ჭავჭავაძე-
გრიბოედოვამ.²¹¹

დამიტრი ჯორჯაძე გარდაიცვალა კახეთში, მშობლიურ სოფელ
ენისელში. დაკრძალულია „გრემის ნაქალაქევს, მთავარაგელოზის
ეკლესიაში“.²¹² მის გარდაცვალებას გამოხმაურა „დროება“, სადაც
ვეითხელობთ „არავითარი საქველმოქმედო საქმე ისე არ ჩაივლიდა, რომ
მას თავის შეძლების კვალობაზედ უფრო მომეტებულად ხელი არ მოემართა.
განსვენებულს არც ერთ საქმეში უარის თქმა არ ეხერხებოდა და კიდეც
ეს გულებულობა იყო მიზეზი, რომ დიდი ვალი დაატყედა თავს, თუმცა
უქანასკნელს დროს მთავრობისაგან შემწეობა არ აკლდა“.²¹³

დამიტრი ჯორჯაძე ხელს აწერს „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“
დამფუძნებელ წევრობაზე,²¹⁴ შეტანილი აქვს 1843 წლის საწევრო თანხა,²¹⁵
1844 წლის სიაში²¹⁶ კი მისი სახელი არ ჩანს.

სია იმ წევრებისა, რომლებიც დაფუძნების შემდეგ შემატნენ
„ტფილისის კერძო ბიბლიოთეკას“:

1. აბესალომოვი სოლომონ ივანეს ძმ, სახელმწიფო
მოხელე. 1840-იან წლებში იგი მეფისნაცვლის სამოქალაქო კანცელარიაში



მსახურობდა.²¹² შესაძლოა, ეს ის „ი. ს. აბესალომოვი“ იყოს, რომელიც სახელობის „სტაციუნდის ვაკანსია“ განსხილა 1900 წელს მართვასთა ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების თითო მოსწავლისთვის (სტაციუნდის გიმნაზისტებს ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილებით ენიჭებოდათ).²¹³

იგანე აბესალომოვს „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკაში“ შეტანილი აქვს 1844 წლის საწევრო თანხის ნახევარი (15 მან. ვერცხლით).²¹⁴

2. ბელიავაზი ვასილი ტიმოთეს ძმ, მეფისნაცვლის კანცელარიის, იმავდროულად წმინდა ნინოს ქალთა საქალომქმედო საზოგადოების ხაზინადარი 1840-1850-იან წლებში.²¹⁵ იგი წევრი იყო „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოებისა“²¹⁶ და „პავკასიის სოფლის მუერნეობის საზოგადოებისა“²¹⁷ ვასილი ბელიავს „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკაში“ შეტანილი აქვს 1844 წლის საწევრო თანხა.²¹⁸

3. ბერზენპორ ალექსი ალექსის ძმ, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის განყოფილების უფროსი 1847-1849 წლებში,²¹⁹ 1852 წელს კი მას სტავროპოლის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორის პოსტზე ვჰდავთ.²²⁰

1845 წელს ა. ბორზენკო თბილისში დაარსებული რუსული თეატრის დირექტორის წევრია,²²¹ 1847 წელს კი წიგნებს სწირავს მეფისნაცვლის კანცელარიასთან არსებულ საჯარო ბიბლიოთეკას.²²²

ალექსი ბორზენკოს „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკაში“ შეტანილი აქვს 1844 წლის საწევრო თანხა.²²³

4. მრისთავი გიორგი რევაზის (რომანის, რომანიშვილის) ძმ (1812-1891), რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი და ქართველი საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის შექმულების მონაწილე (დასაჯეს არხანგელსკში გადასახლებით²²⁴), ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი 1858-1861 წლებში.²²⁵ იმ დროის სხვა გიორგი ერისთავებისაგან განსასხვავებლად „ატამანს“ ეძახდნენ (1852 წელს კავკასიის ხაზის კაზაკთა ჯარის ატამანი იყო²²⁶). გ. ერისთავი იყო ინიციატორი და პირველი თავმჯდომარე 1878 წელს დაარსებული „დარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა“.²²⁷

გიორგი ერისთავს „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკაში“ შეტანილი აქვს 1844 წლის საწევრო თანხა.²²⁸

5. ზახი (ზოგან: ზარხი) პონსტანციე ივანეს ძმ. ამ პიროვნებაზე ჩვენ ვერ მოვიპოვთ სხვა რამ ცნობა გარდა იმისა, რომ მას 1844 წლის სექტემბერ-ოქტომბერში „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკას“ სალაროში შეტანილი აქვს წესდებით გათვალისწინებული საწევრო გადასახადის ერთი მესამედი (10 მან. ვერცხლით, ისიც ნაწილ-ნაწილ).²²⁹

6. მუხრანბატონი ივანე პონსტანტინეს ძე (1812-1895), რუსთანის არმიის გენერალ-ლეიტენანტი და ქართველი საზოგადო მოღვაწე, ქართველი ერეკლე II-ის ას. ბატონიშვილის (1764-1840) შვილიშვილი, ქველაზე მსხვილი მემამულე თბილისის გუბერნაციი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ხოლო 1882-1885 წლებში მისი თავმჯდომარე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამდლოლი („მარშალი“) 1885-1891 წლებში (ორი სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ საკუთარი სურვილით დატოვა ეს მაღალი პოსტი).²³⁰

ივანე მუხრანბატონის „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკაში“ შეტანილი აქვს 1844 წლის საწევრო თანხა.²³¹

7. ნეიდგარტი ალექსანდრე ივანეს ძე (1784-1845), ავსტრიული წარმოშობის რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ადიტატანტი და ინფანტერიის გენერალი, 1842-1844 წლებში კავკასიის მთავარმართებელი და განსაკუთრებული კორპუსის მეთაური.²³² ალ. ნეიდგარტისა და მისი წინამორბედის, ე. გოლოვინის (1782-1858) დროს დაწყო საქართველოში მმართველობის სამხედრო რეფომიდან სამოქალაქო სისტემაზე გადასვლა და ეს პროცესი საბოლოოდ მ. ვორონცოვმა დაასრულა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ალ. ნეიდგარტს მთავარმართებლის პოსტზე არა ჰქონია შესამჩნევი წარმატება არც სამოქალაქო-ადმინისტრაციულ და არც სამხედრო ასპარეზზე. უფრო მეტიც, მან სასტიკი დამარცხება იგემა შამილთან ბრძოლებში, რის გამოც ნებაყოფლობით გადადგა თანამდებობიდან.²³³ დ. ყიფიანის დახასიათებით, ალ. ნეიდგარტი იყო „კაცი უაღრესად სამართლიანი, მაგრამ იქამდე სასტიკი და პუნქტუალი, რომ არავის არაფერში არ აპატიებდა ოდნავ საქმის შეშეგნას“²³⁴.

უნდა აღინიშნოს, რომ ალ. ნეიდგარტი გარკვეულ უურადღებას უომობდა საქართველოში განათლების სისტემის მოწესრიგებას. კერძოდ, მას განზრახული ჰქონია, თბილისში საქველმოქმედო საწყისებზე დაქარსებინა „საბავშვო თავშესაფარი“,²³⁵ 1843 წელს მოიარა იმერთი და კახეთი, დაათვალიერა იქაური სამაზრო სასწავლებლები და იზრუნა ზოგიერთი მათგანის კუთილმოწყობაზე.²³⁶ რაც შესხება „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკას“, ალ. ნეიდგარტს შეტანილი აქვს 1843 წლის საწევრო თანხა,²³⁷ 1844 წლის სიაში²³⁸ კი იგი არ ჩანს.

8. ნაზოროვი ივანე ივანეს ძე (გარდ. 1859) წარმოშობით კოსტრომის გუბერნიიდან იყო; დამთავრებული ჰქონდა (1823 წ.) სმოლენსკის



კადეტთა კორპუსი; მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში - 1824-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომსა და პოლონეთის 1830-1831 წლების²³⁸ აჯანყების ჩახშობაში. 1842 წელს, - „ტფილისის კრძო ბიბლიოთეკის“ დაარსებისას, - ი. ნაზოროვი ამიერკავკასიის მთავარსამმართველოს საბჭოს წევრია და განაგებს „კავკასიისა და ამიერკავკასიის საფოსტო ნაწილს“. 1850 წელს კი მას ერევნის გუბერნატორის პოსტზე კვლავთ.²³⁹ 1859 წელს ი. ნაზოროვი პეტერბურგშია, სადაც ქოლერამ იმსხვერილა.²⁴⁰ ამის თაობაზე 1859 წლის 15 მარტს აღ. ონიკაშვილი პეტერბურგიდან თბილისში სწერდა დიმიტრი ყიფიანს: „[ი. ნაზოროვი] გარდაიცვალა 11 ამ თვეს... დავასაფლავეთ ვოლფოვის სასაფლაოში“²⁴¹.

ი. ნაზოროვი „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოებისა“²⁴² და „კავკასიის სოფლის მუსრების საზოგადოების“²⁴³ წევრი იყო. დიმიტრი ყიფიანი და ი. ნაზოროვი ქვისლები იყვნენ (1845 წლის 22 იანვარს ერთ დღესა და ერთ ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი დღეზე - დიმიტრიმ ნინო ჭილაშვილზე, ი. ნაზოროვმა კი ელისაბედზე²⁴⁴).

ივანე ნაზოროვი გვიან შეერთდა „ტფილისის კრძო ბიბლიოთეკის“ წევრებს - მას შეტანილი აქვს 1844 წლის საწევრო თანხა.²⁴⁵

9. შავშავაძე ალექსანდრე გარსევანის ძე (1786-1846), ჩვენი დიდი პოეტი-რომანტიკოსი. შეტანილი აქვს 1844 წლის საწევრო თანხა.²⁴⁶

როგორც ადრე აღინიშნა, ზემოდასახელებულთა გარდა კიდევ რამდენიმე პირს გამოუთქვამს „ბიბლიოთეკის“ საქმიანობაში მონაწილეობის სურვილი,²⁴⁷ თუმცა ჩვენთვის უცნობ მიზეზთა გამო ეს სურვილი ვეღარ განუხორციელებიათ. ესრია:

1. ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის ძე (1798-1868), კავკასიის გენერალი.²⁴⁸ მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, მაგრამ ვერ დაუმტკიცეს და ამიტომ სასჯელიც ასცდა, მისი მამა, - მალხაზ მელქისედეკის ძე ანდრონიკაშვილი (გარდ. 1822), - თავგამოდებით იძრძოდა რუსების წინააღმდეგ, რისთვისაც ერთხანს ლტოლილობაშიც იყო სოლომონ II-სთან ერთად.²⁴⁹ ივანე ანდრონიკაშვილმა პეტერბურგში მიიღო სამხედრო განათლება; ერთხანს სამსახურისთვის თავის დანებებას აპირებდა, მაგრამ თეომურაშ ბატონიშვილის რჩევით ხელი აიღო ამ განზრახვაზე, რისთვისაც დადამ, რუსეთის მოჭულე მარიამ (მაია) არჩილ ბატონიშვილის ასულმა (1775-1854) დასწევდლა ივანე და ოჯახიც დატოვა (ანჩისხატს შეაფარა თავი).²⁵⁰

1849-1856 წლებში ი. ანდრონიკაშვილი თბილისის სამხედრო

გუბერნატორი იყო. მის სამხედრო კარიერაში განსაკუთრებული იყო აღინიშნოს ოსმალთა წინააღმდევე ჩატარებული ბრწყინვალე ოპერაცია ახალციხესთან 1853 წლის 14 ნოემბერს, რამაც მტრის შემოსევისგან „იხსნა ახალციხის მხარე და ქუთაისის გუბერნია“.²⁵¹

ჩვენს ხელთ არსებული მასალა ივანე ანდრიანიქაშვილის უდავო პატრიოტობაზე მეტყველებს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეებში მისი მონაწილეობის კვალი არ ჩანს.

2. მამაცაშვილი იორებე ქრისტევორმეს (ქაიხორსრუს) ძე (1810-1874), მწერალი, ურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (დასაჯეს ვიატკაში გადასახლებით, სადაც სოლომონ დოდაშვილთან ერთად იხდიდა სასჯელს), შესამჩნევი ფიფურა XIX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიაში.²⁵² ი. მამაცაშვილის ოჯახში დაიბადა, სხვათა შორის, ფართო პროფილის საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო ორგანიზაციის დაარსების იდეა, რომელიც საბოლოოდ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარცვლებელი საზოგადოების“ დაუუძრებით დაგვირგვინდა.²⁵³

3. რობერლიანი ლიმიტრი. ამ პერიოდში ჩვენთვის ორი დიმიტრი ორბელიანია ცნობილი:

ლიმიტრი თამაზის (თომას) ძე (1797-1868), გენერალ-ლეიტენანტი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (კერ დაუმტკიცეს და სასჯელისგან გაათვალისეულებს),²⁵⁴ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამდლოლი 1839-1855 წლებში.²⁵⁵

ლიმიტრი ვახტანების ძე (1808-1882), ერეკლე II-ის შვილიშვილი (თეკლე ბატონიშვილის ძე), 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (მიესაჯა გადასახლება პენზაში, რომელიც კალუკით შეუცვალეს),²⁵⁶ ბიბლიოფილი.²⁵⁷

მნელია დაბეჯითებით თქმა, ამათგან რომელს პქონდა „ტფილისის კრძო ბიბლიოთეკის“ წევრობის სურვილი.

4. საბინაშვილი ალექსანდრე ლიმიტრის ძე (1808-1887), რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, ეწ. კავკასიის ომების მონაწილე. 1831 წელს იგი გრიგოლ ორბელიანის ახლდა, როცა ამ უკანასწერებმა კავკასიის კორპუსში შერჩეული ჯარისკაცები ნოვოროდს წაიყვანა.²⁵⁸ აღ. საგინაშვილი, - ისევე, როგორც, სხვათა შორის, მისი მუსლიმ ბაბალე სამარავდონის ას. ორბელიანი, - ადრესატია ნიკოლოზ ბარათაშვილის ფრძო წერილისა²⁵⁹ (ბაბალეს ახლო ნათესაური და მუკობრული

კავშირი ჰქონია ნიკ. ბარათაშვილთან).

ალექსანდრე საგინაშვილი დამფუძნებელი წევრი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა.“²⁶⁰ დაქრძალულია სოფელ კოდაში.²⁶¹

ზაქარია ფალავანდიშვილის ერთი ცნობის მიხედვით ბიბლიოთეკას სამი დირექტორი ჰყოლია²⁶² (წესდება პირველი მუხლით სწორედ სამი პირისგან შემდგარ ხელმძღვანელ ორგანოს ითვალისწინებდა). აქედან ერთი დიმიტრი ყიფიანია,²⁶³ მეორეა თვითონ ავტორი ზემოაღნიშნული ცნობისა - ზ. ფალავანდიშვილი,²⁶⁴ ხოლო მესამე დირექტორი მაქს. ბერძნიშვილის ვარაუდით მიხეილ თუმანიშვილი უნდა ყოფილიყო.²⁶⁵ ვფიქრობთ, ეს ვარაუდი სწორია. ყოველ შემთხვევაში, ბიბლიოთეკის ფულად ანაკრებს მ. თუმანიშვილი აწერს ხელს.²⁶⁶ ჩვენი აზრით, დირექტორთა უნიტიები ასე იყო განაწილებული - ბიბლიოთეკას საერთოდ განავებდა დ. ყიფიანი, რომელსაც ეხმარებოდნენ: ზ. ფალავანდიშვილი პეტერბურგიდან წიგნების გამოწერაში, შემოწირულებასა მიღება-კლასიფიკაცია- დაბინავებასა და, საერთოდ, წიგნადი ფონდის დაკომპლექტებაში,²⁶⁷ მ. თუმანიშვილი კი ფინანსური ოპერაციების წარმოებაში.²⁶⁸ 1844 წელს მ. თუმანიშვილი ჩამოცილებულია „ბიბლიოთეკას“ (ყოველ შემთხვევაში, ამ წლის სიაში იგი აღარ იხსენიება), 1845 წლის 10 ივნისს კი ზაქარია ფალავანდიშვილი გარდაიცვალა და ამის მერე, როგორც ირკვევა, დ. ყიფიანი ერთპიროვნულად განაგებდა „ბიბლიოთეკას“.²⁶⁹

„ტფილისის კრძო ბიბლიოთეკა“ მისი არსებობის ბოლო დღემდე მოთავსებული იყო დიმიტრი ყიფიანის საკუთარ სახლში,²⁷⁰ სამების კულესიის გვერდით.²⁷¹ ოფიციალურად იგი 1842 წლის 22 სექტემბერს გაფორმდა,²⁷² პრაქტიკულად კი მუშაობას 1843 წლის იანვრიდან შეუდგა.²⁷³ წიგნის გაცემა წარმოებდა ყოველდღიურად, გარდა კვირა და სადღესასწაულო დღეებისა, ნაშაუადღევის 3-დან 6 საათამდე.²⁷⁴

ჩვენამდე მოღწეული მასალები არ იძლევა საშუალებას, სრული წარმოდგენა ვიქენიოთ „ტფილისის კრძო ბიბლიოთეკის“ წიგნად ფონდზე, თუმცა რაც ხელთა გვაქვს, ისიც მეტყველებს ამ კულტურულ-საგანმანათლებლო კერის დამფუძნებელთა ღრმა და მრავალმხრივ ინტერესებზე კრძოლ, ესაა „ბიბლიოთეკას“ მესვეურთა მიმოწერა,²⁷⁵ აგრეთვე, გადარჩენილი სიები იმ წიგნებისა, რომლებიც პეტერბურგიდან მოუღლიათ.²⁷⁶

„ბიბლიოთეკა“ დაკომპლექტებული ყოფილა ქართული, რუსული და დასაკლეთურობული (ძირითადად ფრანგული, რაც, თავის მხრივ, მეტყველებს 1840-იანი წლების ქართული განათლებული წრეების ფრანგიფილურ



ინტერესებზე, დამასასიათებულზე, საქოთოდ, იმ პერიოდის მთევაზი. ჩამოყალიბებული სამყაროსთვის) წიგნებით, აკრეთვე, პერიოდული გამოცემებით (რუსული „ბიბლიოტეკა დღლა ჩრდინა“,²⁷⁸ „სევერნაია ჩენდა“,²⁷⁹ ფრანგული: „რუსი დე დიუ მონდ“, „რუსი დე პარი“, „რუსი ბრიტანიკ“²⁸⁰ და სხვ.).

ფონდების შესხება ხდებოდა როგორც ადგილზე შეძენილი და პეტერბურგიდან გამოწერილი ლიტერატურით, ისე შემოწირულებებით. ასე, მაგალითად, „ბიბლიოტეკას“ საკუთარი ნაშრომები შესწირა მარი ბროსემ,²⁸¹ რომელიც, ამას გარდა, ზ. ფალავანდიშვილის თხოვნით პეტერბურგში იძენდა და თბილისში გზავნიდა დიდძალ ლიტერატურას.²⁸²

„ტფილისის კერძო ბიბლიოთეკაში“ თავმოყრილი წიგნების გადათვალიერებისას თვალში საცმია, რომ მათი აბსოლუტური ურავლესობა რუსული და ევროპული მხატვრული, საისტორიო, ფილოლოგიური, ფილოსოფიური, საბუნებისმეტყველო თხზულებებია. ყოველივე ეს მიუთითებს „ბიბლიოთეკის“ მესევერთა სწრაფუაზე რუსულ-ევროპული კულტურისაკენ (საინტერესო დეტალი: „ბიბლიოთეკაში“ უხვადაა გვოგრაფიული და სამოგზაურო ხასიათის ლიტერატურა, რაც მკაფიოდ მეტყველებს ოთხ საუკუნოვან იზოლაციაში ნამყოფი ქვეყნის შეილთა ლტოლვაზე სამყაროს შეუნიბისაკენ). ამ მხრივ ისინი ქროგულად მიჰყებიან სოლომონ დოდაშვილის მიერ ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც საქართველოში, „რომელიცა აქმომდე წყვდიადსა შინა სიბნელისასა დაფარულ იყო მხედველობათაგან განათლებულის ევროპისათა“,²⁸³ საჭირო იყო დაუდალავი საგანმანათლებლო საქმიანობა „მიახლოებისათვის განბრძობილთა მცხოვრებთა ევროპისათა“.²⁸⁴ ჩვენი მოღვაწეების ამგვარი მისწრაფება ევროპული კულტურის, ევროპული აზროვნების ათვისებისაკენ გამოხატულება იყო ისტორიული კანონზომიერებიდან გამომდინარე საერთო ტენდენციისა. კონკრეტულ შემთხვევაში კი ამგვარ მისწრაფებას, ჩანს, გამსაზღვრავდა სახელმძღვანელო პრინციპი „ბიბლიოთეკის“ ინიციატორისა და ორგანიზატორის - დიმიტრი ყიფიანისა, რომელიც მთელი თავისი ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეების განმავლობაში თავდადებით იღეწოდა ქართული საზოგადოებრივი და კულტურულ-ინტელექტუალური ცხოვრების ევროპიზაციისთვის. ნათქვამის საილუსტრაციოდ აქ მოგვყავს ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი სია წიგნებისა, რომლებიც „ბიბლიოთეკას“ 1843 წლის მარტში მიუღია პეტერბურგიდან:²⁸⁵

1. ალ. პუშკინი, თხზულებები, II ნაწ.;
2. მ. ლერმონტოვი, ჩვენი დროის გმირი - 2 [ეგზემპლარი];
3. მისივე, ლექსები - 3;



4. რუსეთის კავკასიონისიქითა სამფლობელოების მიმოხილვა 125 გვ.
5. შოპენის* შენიშვნები - 1;
6. ვლ. ბენედიქტოვი, ლექსები - 2;
7. ალ. გრიბოედოვი, ვაი ჭკუისაგან - 1;
8. ა. მაიკოვი, ლექსები - 1;
9. რუსული ზნე-ჩვეულებები ილუსტრაციებში - 4;
10. ფან-დიმი," ორი აჩრდილი - 4;
11. ი. ლაუფნიკოვი, ყინულის სახლი - 4;
12. მისივე, უკანასკნელი ნოვიკი - 4;
13. მიხ. ზავოსკინი, ქუზმა [პეტრეს ძე] მიროშევი - 4;
14. დ. დეფო, რობინზონ ქრუზო - 4;
15. ბ. ქუპოლნიკი, ალფი და ალდონა - 4;
16. მისივე, ვევლინა დე ვალერიოლი - 4;
17. ა. ნოროვი, მოგზაურობა ეგვიპტესა და ნუბიაში - 2;
18. რომის პაპები - 1;
19. ქ. ბაზილი, არქაპელაგი და საბერძნეთი [1830-1831 წლებში] - 2;
20. მისივე, ბოსფორი [და ახალი ნარკვევები კონსტანტინოპოლზე] - 2;
21. ს. უსტრიალოვი, რუსთის ისტორია - 5;
22. ი. ქრისტიანოვი, ივან-არაგები - 1;
23. ს. ზელენიო, საუბრები ასტრონომიაზე - 1;
24. ალ. სტეპანოვი, ფუნდუკი - 4;
25. ალ. მიხაილოვსკი-დანილოვსკი, 1812 წლის ომის აღწერა - 4;
26. მისივე, 1813-1814 წლების ჩანაწერები - 1;
27. მისივე, 1813 წლის ომის აღწერა - 2;
28. მისივე, საფრანგეთზე 1814 წლის ლაშქრობის აღწერა - 1;
29. მისივე, ფინეთის [1808-1809 წლების] ომის აღწერა - 1;
30. დაუჯერებელი ამბები - 3;
31. პ. კამენსკი, მოთხრობები - 2;
32. ვლ. სოლოგუბი, ძილის წინ - 1;

* ეს უნდა იყოს ფრანგული წარმოშობის რუსი ისტორიკოსი ივანე ივანეს ძე შოპენი (1798-1870), რომელსაც ნაშრომები აქვს გამოქვეყნებული საქართველოსა და სომხეთის ისტორიის საკითხებზე (იხ. ბროკაუზი-ევრონი, ტ. 78, 1903, გვ. 789; აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი, თბ., 1952, გვ. 281).

** რუსი მწერლის, კლისაბედ კოლოგრივოვას უსევდონიმია.

33. პეტრე დიდის ისტორია - 15 რვეული;
 34. ფრ. ლორენცი, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო, I ნაწ.;
 35. შ. მონტესკიე, კანონთა სულის შესახებ - 3;
 36. მოგზაურობა წმინდა აღგილებში - 3;
 37. სამხატვრო გაღვერა - 3;
 38. ფ. ვრანგელი, მოგზაურობა ციმბირში - 3;
 39. ნ. გოგოლი, რევიზორი - 1;
 40. მისივე, მკვდარი სულები - 1;
 41. ჩ. დიკენსი, ოლივერ ტვისტი - 1;
 42. დ. შელეხოვი, სოფლის მეურნეობის კურსი - 6 რვეული;
 43. ნაპოლეონის ისტორია - 1;
 44. სამართლისმცოდნეობის ენციკლოპედია - 2;
 45. ფელდმარშალთა ბიოგრაფიები - 4;
 46. ასი რუსი ლიტერატორი - 2;
 47. ენციკლოპედიური ლექსიკონი - 13;
 48. ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი - 1;
 49. ჩევენებურები, გადმოხატული ნატურიდან - 14 ნაკვეთი.
- ზემომცემანილ ნაბეჭდ სიას იქვე მოსდევს (რუსულ ენაზევე) დ. ყიფიანის ავტოგრაფული ჩამონათვალი წიგნებისა:²⁸⁶
1. ნიკ. პოლევიო, სუვოროვის ისტორია - 1;
 2. მიხ. დან... [? - თ. ჯ.], 1806-1812 წლების თურქეთის ომის აღწერა - 1;
 3. ნ. კარამზინი, რუსეთის სახელმწიფოს ისტორია - 3;
 4. კაპიტოლიუმი - 1;
 5. უცხოელ მწერალთა ბიბლიოთეკა რუსეთის შესახებ - 1;
 6. ფ. მიშლე, საფრანგეთის მოკლე ისტორია - 1;
 7. ნაპოლეონი, ეკისართა ომების ისტორია - 1;
 8. დანტე, ლვიანდრივი კომედია (ფან-დიმის თარგმანი) - 4;
 9. ი. გოეთი, თხზულებები - 1;
 10. მისივე, ფაუსტი (ე. გუბერის თარგმანი) - 1;
 11. ნ. კუპოლნიკი, ტორკვატო ტასო - 1;
 12. ნ. იაზიკვი, ლექსიბი - 1;
 13. ალ. მარლინსკი, თხზულებები - 12;
 14. ფან-დიმი, ვერება მოყვასისთვის - 1;
 15. შამისო, პეტერ შლემელის [არაჩვეულებრივი] თავიადასავალი - 1;
 16. ნ. პავლოვი, ახალი მოთხრობები - 1;

17. ბრამბეუსი,* ფანტასტიკური მოგზაურობანი - 1;
18. პ. კამენსკი, მძაფრი შეერძნებების მაძიებელი - 1;
19. რუსის გასეირნება პომპეიში - 1;
20. აღ. ჰუმბოლდტი, მოგზაურობა** - 1;
21. ქალის დანიშნულება - 1;
22. ურნალი „ბიბლიოტეკა დღისა ჩრიცნა“ 1843 წლისა - 12[ნომერი].

ფრანგულ ენაზე:

1. ბარანტი, ბურგუნდიის პერცოვ ვალუათა კარის ისტორია - 2;
2. კოლტერი, მირითადი ისტორიის რეზიუმე - 1;
3. ბუვე დე კრესსე, პაპების ისტორიის რეზიუმე - 1;
4. პ. მერიმე, კლარა გაზულის თვატრი - 1;
5. მ. ბროსე, კანეთის ქართველ მუფეთა მიმოწერა რუსეთთან მე-17 საუკუნეში - 1;
6. ა. მიუსე, კომედიები და ანდაზები - 1;
7. ა. ლამარტინი, პოეტური და რელიგიური პარმონიები - 1;
8. აღ. დიუმა, შარლ VII თავის დიდ ხომალდებზე - 1;
9. მისივე, კოსტიუმების [? - თ. ჯ.] თვატრი - 6;
10. ვ. ჰიუგო, თხზულებათა სრული კრებული - 3;
11. რ. ბ. შერიდანი, თხზულებათა სრული კრებული - 1;
12. სილვიო პელიკო*** - 1;
13. ჟ.სტალი, კორინა [ანუ იტალია] - 1;
14. ალფრედ დე ვინი, სენ-მარი - 1;
15. ინგლისელები - 2;
16. ო. ბალზაკი, შაგრენის ტყავი - 1;
17. ჟ. შარდენი, მოგზაურობა სპარსეთისა [და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში] - 10;

* „[ბარონი] ბრამბეუსი“ ფსევდონიმი იყო რუსი მწერლის, ურნალისტისა და ორიენტალისტის ოსიპ სენკვესკისა (1800-1858).

** ეს უნდა იყოს გერმანელი ბუნებისმეტყველისა და მოგზაურის ალექსანდრე ჰუმბოლდტის „მოგზაურობა ახალი ქვეყნის ბუნიობის შხარეში 1799-1804 წლებში“, სადაც შევამებულია ავტორის მეცნიერული დაკვირვებები ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში მრავალწლიანი მოგზაურობის შემდეგ.

*** თხზულების სათაური არაა მითითებული.



18. დურვილი, მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო - 2;
 19. ქ. უანენი, მოგზაურობა იტალიაში - 1;
 - 20 ტ. მალთუსი, ესე ხალხობოსახლეობის პრინციპებზე - 2;
 21. ბერიეს მოგონებანი - 2;
 22. [ვახუშტი ბატონიშვილი], საქართველოს გეოგრაფიული ოღწერა* - 1;
- სია გაკრული ხელითაა ნაწერი, ცუდად იკითხება და ჩვენ, სამწუხაროდ, რამდენიმე ავტორის გვარი და თხზულებათა სათაური ვერ გავარჩიეთ. ბოლოს საბუთზე დ. ყიფიანის ხელითვე მიწერილია: ვეჯვების ტყაოსანი ილი ბარсова კожა.”

„ბიბლიოთეკაში“ თავმოყრილი წიგნების რაოდენობაზე სრული წარმოდგენის შექმნა, ვიმეორებთ, ამჟამად შეუძლებელია. აյ წარმოდგენილი სია, ცხადია, პეტერბურგიდან გამოწერილი წიგნების მცირე ნაწილი იქნებოდა, რაზეც, - სხვას რომ თავი დაგანხილოთ, - მეტყველებს დ. ყიფიანის არქივში დაცული ფოსტის კანტორის ქვითრები პეტერბურგელი წიგნით მოვაჭრებისათვის (იუნგმეისტერი, ა. ივანოვი, ვ. პოლიაკოვი...) ფულის გაგზავნის შესახებ.²⁸⁷

სამწუხაროდ, კარგად დაწყებულმა საქმემ შესაფერისი განვითარება ვერ პოვა. ვერ მოხერხდა „ბიბლიოთეკის“ საქმიანობაში საზოგადოების ფართო ფენების ჩაბმა. ამის გამო მოგვიანებით წესდებიდან ამოღებულ იქნა კიდევ მე-15 მუხლი,²⁸⁸ რომელიც ითვალისწინებდა ამ საგანმანათლებლო დაწესებულების გარეთ მდგომ პირთა მოზიდვას და მათ ჩართვას „ბიბლიოთეკის“ საქმიანობაში. „გარეშე მკითხველთაგან მხოლოდ 6 მან. და 70 კაპიკი შემოვიდაო“ - აღნიშნავდა 1843 წლის ფინანსურ ანგარიშში მიხეილ თუმანიშვილი.²⁸⁹ დამფუძნებელთა ენთუზიაზმიც თანდათან განველდა. ბევრი მათგანი სამსახურებრივმა ვალდებულებამ აიძულა მოშორებოდა თბილისს (ნაწილი ე.წ. კავკასიის ომში მონაწილეობდა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც ცნობილია, ლუქმაპურის მოპოვების საჭიროებამ

* ესაა მარი ბროსეს მიერ 1842 წელს სანქტ-პეტერბურგში ფრანგულ ქაზე გამოცემული „ღოღლრაფიული ოღწერა საქართველოისა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ.“

** ესაა „ვეფხვის-ტყაოსანი რუსულად ბარსova კожა. პოემა, დაწერილი შოთა რუსთველის მიერ, ახლად დაბეჭდილი შეკრთხებულითა ღვაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვისათა სანქტ-პეტერბურლს. 1841.“

ნახიჩევანში წაიყვანა და ა.შ.). განსაკუთრებით მძიმე და აუნაზღაურებული იყო „ბიბლიოთეკის“ დიდი მოამაგისა და მისი ერთ-ერთი დირექტორის, ზაქარია ფალავანდიშვილის უდროო და უცაბედი სიკედილი. „ჩემი ბიბლიოთეკის წევრები თანდათან შემომეცალნენ და 1848 წ. მე დავრჩი მისი ერთადერთი წარმომადგენელი“ - გელისტეკივილით წერდა ამის თაობაზე დ. ყიფიანი.²⁹⁰

მიმოიფანტა, აკრეთვე, წიგნებიც. წევრებს, ჩანს, იმ უფლებითაც უსარგებლიათ, რომელსაც მათ წესდების მე-3 მუხლი ანიჭებდა („ბიბლიოთეკისთვის“ გადაცემული საკუთარი წიგნების უკანვე გატანა). ასე თუ ისე, 1848 წლისთვის, როგორც ზემოთ აღინიშნა, დ. ყიფიანს ყველა შემოსცლია და მასაც მხოლოდ საკუთარი წიგნები შემორჩნია, რომელებიც მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის კანცულარიასთან 1846 წელს დაარსებული სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკისთვის ჩაუბარებია.²⁹¹ მხოლოდ იმ პირობით, რომ როცა კი ამას საჭიროდ ჩათვლიდა, 2/3-ს ჩაბარებული წიგნებისას უკანვე წაიღიბდა, 1/3-ს კი შენაწირის სახით დატოვებდა.²⁹² მაგრამ მოგვიანებით დიმიტრისთვის პირი უშლიათ და საკუთარი წიგნები აღარ დაუბრუნებიათ - გადაუხდიათ 1000 მანეთი და ბრძანებაც მოუყოლებიათ, ამ თანხას დასჯერებოდა.²⁹³ „მანსონება რომ „ძალა აღმართსა ხნავსი“ და მეც ამით დავკამყოფილდი, ხოლო ჩემს გულში კი ვთქვი: მაღლობა თქვენ, რომ ეს მაინც მომციოთ - მეთქი“²⁹⁴ - ოუმრნარევი ქოლოთი დაასკვნის ამ საკითხზე მსჯელობის შემდეგ დიმიტრი ყიფიანი.

ერთი სიტყვით, „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ მესვეურებმა ვერ განახორციელეს უმთავრესი მიზანი - თბილისში კულტურულ-საგანმანათლებლო, სალიტერატურო და სამეცნიერო ცენტრის შექმნა. მირითადი მიზანი, ვფიქრობთ, იყო მაშინდელი ქართველი საზოგადოების მოუმზადებლობა ინტელექტუალური ძალების კონსოლიდაციისა და ნაციონალური იდეოლოგიის შესაქმნელად მიზანმიმართული საქმიანობისთვის. ნიადაგი მწირი აღმოჩნდა, მაგრამ ამ მწირ ნიადაგში მაინც ჩავარდა ისეთი თესლი, რომელმაც დროთა მანძილზე სასიკეთო ნაყოფი წარმოშვა და სრულებით არაა შემთხვევითი ის გარემოება, რომ მომდევნო ხანის დიდმიწვნელოვან საზოგადოებრივ-კულტურულ წამოწყებათა სათავეებთან სწორედ დიმიტრი ყიფიანს, - „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამარსებელს, - ვხედავთ. ჩენი საზოგადოებრივი ცხოვრების მოცემულ ეტაპზე კი მთავარი მაინც ის იყო, რომ „ბიბლიოთეკაშ“ მკვეთრად გამოაცოცხლა იმდროინდელი ქართველი საზოგადოებრიობის პატრიოტულად



განწყობილი ნაწილის საგანმანათლებლო ინტერესები, მძღავრი ბიბერ მისუა
ქართული კულტურულ-ინტელექტუალური ცხოვრების ევროპულისა
სასიცოცხლოდ აუცილებელ, იმ დროისთვის უკვე შეუძლებელ პროცესს.

1. მაქს. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, თბ., 1980, გვ. 23.
2. მაქს. ბერძნიშვილი, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორიისათვის, „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, 1941, № 2-3, გვ. 160-162.
3. ბუაჩიძე გ., მარი ბროსე, თბ., 1983, გვ. 141-142; მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, თბ., 1983, გვ. 187.
4. მხედველობაში გვაქვს თბილისის გიმნაზიის მოწაფეთა 1833 წლის ხელნაწერი ფურნალი, რომლის სახელწოდება ცნობილი არ არის და მათ მიერვე შედგენილი „Цветок Тифлисской гимназии“ 1835 წლისა. ვეიქრობთ, ინტერესოვანებული არ იქნება იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ პირველ ფურნალში, გარდა მოწაფეთა თხზულებებისა, გრიგოლ და ალექსანდრე ორბელიანების, აგრეთვე, გიორგი დავითის მე ერისთავის ნაწარმოვებიცაა მოთავსებული. ეს ავტორები კი ამ დროს შეთქმულებაში მონაწილეობისთვის ავლაბრის ყაზარმებში არიან გამომწყვდეული. მეორე ფურნალში კი შეტანილია სოლომონ დოდაშვილის ორი თხზულების („მეორე ირაკლის მეორისა“, „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“) რესული თარგმანი. 1835 წლს კი ს. დოდაშვილი უკვე ვიატკაშია და მისი არათუ ნაწერების გამოქვეყნება, სახელის ხსენებაც კი აკრძალულია. გიმნაზიის მოწაფეთა ზემოაღნიშული საოცრად გაძლიერდი მოქმედება, პირველ რიგში, თაობათა შორის იდეურ კავშირზე მიუთითებს. ამდენად, სრულებით არაა შემთხვევითი ის გარემოება, რომ „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელთა შორის ყოფილ შეთქმულთა გვერდით გიმნაზიელთა ხელნაწერი ფურნალების მესვეურებსაც ვხვდავთ (მიხეილ თუმანიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლევან მულიქიშვილი).
5. „დროება“, 1876, №24.
6. იმპერატორ ნიკოლოზ I-ის სტუმრობასა და ამ ფაქტთან დაკავშირებულ გრანილოზულ დღესასწაულზე იხ. ისარლო ლ., მისმა ი გრუ, თფლ., 1899, გვ. 181-184.
7. ი. ბალახაშვილი, ლიტერატურული წრები და სალონები საქართველოში, თბ., 1940, გვ. 134.
8. ა. ჯორჯაძე, მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის, მის წიგნში: წერილები, თბ., 1989, გვ. 103.
9. დ. ყიფიანი, მეტუარები, ს. ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და



შენიშვნებით, თვე., 1930, გვ. 167.

10. დ. ყიფიანი, მემუარები, რედაქცია, შენიშვნები და პირთა საზოგადოებრივი საბიექტები ს. ხუციშვილისა, თბ., 1990, გვ. 122.
11. Кипиани К. Д., Публичная библиотека в гор. Тифлисе, "Новое обозрение", 1899, № 5224.
12. ი. ბალახაშვილი, ლიტერატურული წრები და სალონები საქართველოში, თბ., 1940, გვ. 175-179.
13. ბ. გურგენიძე, ძველი წიგნსაცავები საქართველოში, თბ., 1969, გვ. 107-111.
14. ზი, დ. ყიფიანის არქ., საქ. № 207, ფ. 2.
15. მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 75; 6. გურგენიძე, ძველი წიგნსაცავები საქართველოში, თბ., 1969, გვ. 114-115.
16. მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 75; ბუაჩიძე გ., მარი ბროსე, თბ., 1983, გვ. 134.
- 17 იხ. წესდების მე-6 მუხლი.
18. დ. ყიფიანი, მემუარები, თბ., 1990, გვ. 122-123.
19. Кипиани К., Публичная библиотека в гор. Тифлисе, „Новое обозрение“, 1899, №5224.
20. იხ. ჩვენი: დიმიტრი ყიფიანის საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან, „მწიგნობარი - 89“, თბ., 1989, გვ. 214-215; უნდა აღინიშნოს, რომ კიდევ უფრო ადრე კ. ყიფიანის ცნობა მაქს. ბერძნიშვილმაც მიიღო უკრიტიკოდ და უკომინტაროდ (იხ. მისი: თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორიისათვის, „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, 1941, №2-3, გვ. 163).
21. ზი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №211, ფ. 7.
22. იქვე, საქ. №219, ფ. 1
23. იქვე, საქ. №211, ფ. 2-6.
24. იქვე, საქ. №219, ფ. 2.
25. მაქს. ბერძნიშვილი, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორიისათვის, „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, 1941, №2-3, გვ. 163.
26. Ватеишвили Д. Л., Русская общественная мысль и печать на Кавказе в первой трети XIX века, М., 1973, გვ. 371.
27. მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 152.
28. გ. გოცაძე, ქართული უწერნალისტიების ისტორია, I, თბ., 1954, გვ. 288.
29. შავთელი, თამარ მეფეასი და მეუღლისა მისის დავით მეფის შესხმა, ტფ., 1838.
30. ჩახრუხაძე, თამარ მეფეასი და მეუღლისა მისის დავით მეფის შესხმა,

Ծով., 1838.

31. Թ. զուցամելք, Հասած. Վոշնո, զ. 224-226.
32. Արզանով, Օպыт начертания историй царства Армянского, Մ., 1827.
33. Ֆայ. ծերմենՇվոլո, մասալցիո..., I, զ. 152.
34. Թ. Շեսաձամուս Վլահուս „K.K.“
35. Ովզը, 1850, գանց. IV, զ. 39.
36. Ովզը, 1852, գանց. V, զ. 606.
37. Գ. Կոյուանո, մշտարշիօ, տ. 1990, զ. 123.
38. Խո, Գ. Կոյուանոս արք., Տայ. №219, դ.1.
39. Ովզը, Տայ. №211, դ.7.
40. Ե. ՃարատաՇվոլո, լլավիշշիօ. ծերո յարտլուսա. Վյերուլցիօ, Ե. Յուրլցեալազան Ռշայլցուուտ, Ծով., 1922, զ. 244.
41. Գ. Ըշոնուժ, Խոյոլութ ճարատաՇվոլուս ցարՇեմո, „Լութերատուրուս մատունց“, №1-2, 1940, զ. 409-411.
42. Խո, Գ. Կոյուանոս արք. Տայ. №219, դ.1.
43. Ովզը, Տայ. №211, դ.1.
44. Ովզը, դ. 5-6.
45. Շ. ՃռածալոՇվոլո, Խոյոլութ ճարատաՇվոլուս ծուղրագուուսատցուս, Տայարտցելուս Տակելմիուցու մշնչյումուս մռամից, Ծ. XVII-Բ, 1953, զ. 217.
46. Ո. մշնարշիօ, Կեռուրշիա և Ըամանու ցրուցու ոռծելուանուս, մուս Վոշնու: յարտցելու մշերուցիօ, I, տ. 1941, զ. 62.
47. Շ. Ըշոմսած, Տամբէջ-Հազաեցու, տ. 1975, զ. 419.
48. „K.K.“, 1846, գանց. IV, զ. 167.
49. Յ Տայութիջ օխ.: Գ. Կոյուանո, մշտարշիօ, 1990, զ. 75-76; Տայարտցելուս օւթորուուս Խարէշշէմ, Ծ. V, տ. 1970, զ. 150-154; Ո. անուլազա, մասալցիօ XIX Տայութցելուս Տայարտցելու նախցրուս օւթորուուսատցուս, „Տայութորու մռամից“, №41-42, 1980, զ. 152-154, 172-194; Շ. Ըշոմսած, Հասած. Վոշնո, զ. 419-421.
50. Ո. մշնարշիօ, Հասած. Վոշնո, I, զ. 63.
51. Ալլելիսանդրէ ծերայիջ օխ.: ծրոյքային-Եղրոնո, Ծ. 5, 1891, զ. 268.
52. Խո, Գ. Կոյուանոս արք., Տայ. №219, դ.1.
53. Ովզը, Տայ. №211, դ.3,6.
54. Գ. Հազալուանո, Ռուսու և յարտցելու Տալեհուս Տանամշյոնթրունուս օւթորուուցան տ. 1967, զ. 118.
55. Ովզը; Քե, Ծ. 3, 1978, զ. 330.



56. დ. ყიფიანი, მემუარები, თბ., 1990, გვ. 122.
57. ლ. გოდერიძე, მასალები ქართველთა შორის წეტკლისტის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის, „საისტორიო მოაშქერება“, ტ. 37-38, 1978, გვ. 31.
58. სიტყვა, თქმული გურია-სამეგრელოს პისკოპოსის გრიგორისაგან დროსა უგანათლებულების კონსტანტინე ლევანის ძის დადიანის დასაფლავებაზე, „მწყემსი“, 1889, №12, გვ. 12.
59. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №219, ფ.1.
60. იქვე, საქ. №211, ფ.2.6.
61. გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, II, გვ. 37.
62. იქვე, II, გვ. 263.
63. იქვე, II, გვ. 263-264; III, გვ. 407.
64. იქვე, II, გვ. 265.
65. იქვე, II, გვ. 38.
66. იქვე, II, გვ. 21; ამ პროექტზე იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 950-951.
67. გ. გოზალიშვილი, დასახ. წიგნი, II, გვ. 39.
68. იქვე, გვ. 38, 205.
69. იქვე, გვ. 38-39, 61-62.
70. იქვე, I, გვ. 153; II, გვ. 205, 208 და ა.შ.
71. იქვე, III, გვ. 431.
72. მაქს. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, გვ. 234.
73. გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, III, გვ. 436.
74. დ. ყიფიანი, მემუარები, თბ., 1990, გვ. 153.
75. გ. გოზალიშვილი, დასახ. წიგნი, II გვ. 42.
76. დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 122.
77. მ. გოცაძე, ქართული უურნალისტიკის ისტორია, I, თბ., 1954, გვ. 234, 239; მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 82.
78. რედაქციისაგან, „ცისკარი“, 1860, №5, გვ. 53.
79. ლ. გოგოშვილი, მარიამ დემურია, თბ., 1964, გვ. 4-5.
80. ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი, მეუღვინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და სამიებელი დაურთო ს. ხუციშვილმა, I, თბ., 1961, გვ. 47.
81. გ. გოზალიშვილი, დასახ. წიგნი, II. გვ. 40, 41; მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 235.
82. გ. გოზალიშვილი, დასახ. წიგნი, II, გვ. 40.



83. 6. ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ., 1972, გვ. 22-23, 208-209.
84. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №219, ფ.1.
85. იქვე, საქ. №211, ფ.3.
86. იქვე, ფ.5-6.
87. გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, III, გვ. 204-205.
88. მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, 1980, გვ. 75.
89. გ. გოზალიშვილი, დასახ. წიგნი, III, გვ. 205.
90. გ. გოზალიშვილი, დასახ. წიგნი, II, გვ. 154.
91. ე. ორჯონიაძე, რესული მმართველობის დამყარება საქართველოში, თბ., 1992, გვ. 203.
92. მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 189 (ასე რომ, დიმიტრი ყიფიანი ცდება, როცა ზ. ერისთავის გარდაცვალების თარიღად 1849 წელს ასახელებს. იხ. მისი: მემუარები, 1990, გვ. 122). ზ. ერისთავის მკვლელობაზე იხ. აგრეთვე, გრ. ორბელიანი, წერილები, ა. გაწერელიას რედაქციითა და შენიშვნებით, I, ტფ., 1936, გვ. 307-308.
93. გრ. ორბელიანი, წერილები, I, თბ., 1936, გვ. 209-210.
94. ლ. ჭუთათველაძე, ერთი ლექსის ავტორის საკითხისათვის, აკად. ს. ჯანაშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XX-B, თბ., 1959, გვ. 131-137.
95. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №219. ფ.1.
96. იქვე, საქ. №211, ფ.2.
97. იქვე, ფ.5-6.
98. ბიოგრაფიული ცნობები ს. ვასილეკოვსკიზე იხ. აქტები..., ტ. IX, 1884, გვ. XVII.
99. დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 35.
100. მ. ჩხეტია, საკლებო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950, გვ. LXII.
101. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №219, ფ.1.
102. იქვე, საქ. №211, ფ.3,6.
103. ბროკპაუზი-ეფრონი, ტ. 24, 1894, გვ. 621.
104. იხ. შესაბამისი წლების „KK“.
105. მ. ზნაჩკო-იავორსკის კერძო წერილები დ. ყიფიანისადმი იხ.: ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №№1364-1366, ფ.4.
106. დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 122.
107. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №219, ფ.1.
108. იქვე, საქ. №211, ფ.3,5.



109. ამ საკითხზე იხ.: მიხ. ხელთუბნელი, სალიტერატურო-საზოგადო გარემონტიური, წარსულიდან (მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1938, გვ. 27-38; მ. გოცაძე, ქართული ფურნალისტიკის ისტორია, I, თბ., 1954, გვ. 248-262; რ. ახვერდანი, მიხეილ თუმანიშვილის უცნობი ნაწარმოებები, „მწიგნობარი-84“, ნაწ. II, თბ., 1986, გვ. 104-109.
110. ჯ. ჭუმბურიძე, მიხეილ თუმანიშვილი, წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. III, თბ., 1969, გვ. 207-209.
111. ამ საკითხზე იხ.: ქ. ბურჯანაძე, მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები, თბ., 1992, გვ. 84-95.
112. იხ.: ჯ. ჭუმბურიძე, ქართული კრიტიკის ისტორია, I, თბ., 1974, გვ. 98-106.
113. ალ. კალანდაძე, ქართული ფურნალისტიკის ისტორია, II, თბ., 1984, გვ. 148-213; ამ საკითხზე იხ., აგრეთვე, დ. გამეზარდაშვილი, ქვლავ „სალაყბო ფურცლების“ ავტორთა ვინაობის საკითხისათვის. ქრბ.: ფურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, III, თბ., 1974, გვ. 186-207.
114. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №211, ფ.5-6.
115. ბიოგრაფიული ცნობები თ. კოცხვეული იხ. აქტები..., ტ. X, გვ. XXIII.
116. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და ჯ. ოდიშელმა, თბ., 1995, გვ. 718-719.
117. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №219, ფ.1.
118. იქვე, საქ. №211, ფ.3.
119. იქვე, ფ.5-6.
120. „საქართველოს კალენდარი“, 1894, გვ. 456.
121. ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1972, გვ. 225.
122. ბიოგრაფიული ცნობები ლ. მელიქიშვილზე იხ.: აქტები..., ტ. X, 1885, გვ. XXV; გ. ავალიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამევობრობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 123-125.
123. ამ იუბილეზე იხ.: „მწყების“, 1887, №26, გვ. 12-13; ნ. მაჭარაშვილი, აღწერა მთა-წმიდის ეკკლესიისა და წმ. მამა დავითის ცხოვრებისა, ტფ., 1895, გვ. 51-54.
124. ნ. მაჭარაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 53.
125. იქვე, გვ. 54.
126. თ. ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი, „ივერია“, 1892, №41.
127. პიტაფია იხ. ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი, I, თბ., 1961, გვ. 70.

128. ახალი ამბავი, „ივერია“, 1892, №44.
129. ი. ბალახაშვილი, ლიტერატურული წრეები და საქართველოში, თბ., 1940, გვ. 128.
130. იქვე, გვ. 132.
131. ი. მეუნარგია, ცხოვრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა, მის წიგნში: ქართველი მწერლები, I, თბ., 1941, გვ. 178 (სხვათა შორის, ი. მეუნარგიას ამ ნაშრომში უხვად აქვს გამოყენებული ლ. მელიქიშვილის ფაქტობრივი მასალით უხვი ზეპირი მოგონებები ნ. ბარათაშვილზე. იხ. გვ. 172, 185, 186, 190, 195-196).
132. იქვე, გვ. 193.
133. ამ ურთიერთობაზე იხ. ნ. ხომერიე, მაიკო ორბელიანი, მის წიგნში: ლიტერატურული ჩანაწერები, თბ., 1961, გვ. 65-71.
134. დამოწმებულია ი. მეუნარგიას დასახ. წიგნიდან, გვ. 189 (წერილი რუსულ ენაზე. აქ მოყვანილი ფრაგმენტის თარგმანი ჩვენა).
135. იქვე, გვ. 190.
136. ნ. მაჭარაშვილი, აღწერა მთა-წმიდის ეპელესისა და წმ. მამა დავითის ცხოვრებისა, ტფ., 1895, გვ. 50.
137. იქვე.
138. თ. ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი, „ივერია“, 1892, №41; ლ. გოდერიძე, მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის, „საისტორიო მოამბე“, ტ. 37-38, თბ., 1978, გვ. 32.
139. ახალი ამბავი, „ივერია“, 1892, №44.
140. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №219, ფ.1.
141. იქვე, საქ. №211, ფ.2.
142. იქვე, ფ.5-6.
143. გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, II, გვ. 517.
144. იქვე, II, გვ. 579.
145. იქვე, II, გვ. 92, 517.
146. გრ. ორბელიანი, წერილები, I, გვ. 252.
147. ნ. ალექსიევ-მესხიევი, შესახებ ბ. ნ. ბარათაშვილის ძეგლის დადგმისა, „ივერია“, 1893, №130.
148. ლ. გოდერიძე, მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის, „საისტორიო მოამბე“, ტ. 37-38, 1978, გვ. 32.
149. „ამ ორის წლის წინად...“, „მწყემსი“, 1887, №21, გვ. 13.
150. იქვე.

151. ხი, დ. ყიფიანი არქ., საქ. №№1555-1559, ფ.9.
152. იქვე, საქ. №219, ფ.1.
153. იქვე, საქ. №211, ფ.3.5.
154. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №219, ფ.1.
155. იქვე, ფ.1.
156. იქვე, საქ. №211, ფ.2.
157. იქვე, ფ.5.
158. ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951, გვ. 10.
159. ჭ. ორბელიანზე ბიოგრაფიული ცნობები იხ.: გრ. ორბელიანი, წერილები, I, ტფ., 1936, გვ. 220-221, 274; 6. ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ., 1972, გვ. 220.
160. გრ. ორბელიანი, წერილები, I, გვ. 15-16, 17-19 და ა.შ.
161. 6. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1972, გვ. 123-127, 130-132.
162. ი. ბალახაშვილი, სამი შენიშვნა, „ლიტერატურული საქართველო“, 1939, №19.
163. ი. ქიაკოლოფოვი, გრიგოლ ორბელიანის არქივიდან, „ლიტერატურული გაზეთი“, 1962, №25.
164. გ. გობალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, II, გვ. 63-64.
165. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №219, ფ.1.
166. იქვე, საქ. №211, ფ.2.
167. იქვე, ფ.5-6.
168. ი. ბალახაშვილი, მანანა ორბელიანი, თბ., 1941, გვ. 32.
169. გრ. ორბელიანი, წერილები, II, ტფ., 1937, გვ. 378.
170. იქვე, გვ. 258.
171. კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, თბ., 1934, გვ. 313.
172. კ. ცინცაძე, ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეპლესია ტფილისში, თბ., 1994, გვ. 112.
173. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №219, ფ.1.
174. იქვე, საქ. №211, ფ.3.
175. იქვე, ფ.5-6.
176. იხ. 1840-1850-იანი წლების „K.K.“
177. „გუშინწინ, მარტის 8-ს...“, „დროება“, 1876, №25.
178. „K.K.“, 1852, გვ. 607.
179. იქვე, გვ. 609.
180. ნიკ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება, „მოამბე“, 1894, №IV,

გვ. 87.

181. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №219, ფ. 1.
182. იქვე, №211, ფ.3.
183. იქვე, ფ.5-6.
184. მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 185-186.
185. იქვე, გვ. 186.
186. И[оселиани] П., Некрология князя Захария Палавандова, „Закавказский вестник“, 1845, №15.
187. ზ. ფალავანდიშვილისა და მარი ბროსეს ურთიერთობაზე იხ.: მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 67-68, 71, 74-76; II, გვ. 186-188; ბუაჩიძე გ., მარი ბროსე, თხ., 1983, გვ. 129-143; სოლ. ცამშვილი, ზაქარია ფალავანდიშვილი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948, №36; ნ. გურგენიძე, ძველი წიგნსაცავები საქართველოში, თბ., 1969, გვ. 111-114; ო. ჯოლოვუა, „გამორჩეული წევრი საზოგადოებისა“ - ზაქარია ფალავანდიშვილი, „მწიგნობარი-91-92“, თბ., 1992, გვ. 203-204...
188. „ვეფუნისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემაში ზ. ფალავანდიშვილის წელილზე, - გარდა მაქს. ბერძნიშვილისა და გ. ბუაჩიძის დასახ. წიგნებისა, - იხ.: სოლ. ყუბანევიშვილი, ვეფუნისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან (XVIII-XIX ს.), თბ., 1966, გვ. 46, 48, 53-62; ო. მეგრელიძე, რესთველოლოგები, თბ., 1970, გვ. 71-72.
189. ო. მეგრელიძე, დასახ. წიგნი, გვ. 72.
190. სოლ. ყუბანევიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 46.
191. მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 70.
192. ზ. ფალავანდიშვილის სიკვდილისა და დაკრძალვის გარემოებებზე, აგრეთვე, ამ ფაქტით გამოწვეულ საზოგადოებრივ რეზონანსზე იხ.: „Закавказский вестник“, 1845, №15; „Кавказ“, 1846, №7; ბუაჩიძე გ., მარი ბროსე, თხ., 1983, გვ. 143.
193. დამოწმებულია გ. ბუაჩიძის დასახ. წიგნიდან, გვ. 143.
194. ამ საკითხზე იხ. ჩვენი წერილი: დიმიტრი ყიფიანი და განმათავისუფლებელი მოძრაობა, „ლიტერატურული საქართველო“, 1991, №50.
195. ბიოგრაფიული ცნობები დ. ჭავჭავაძეზე იხ.: გ. ავალიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამევებრობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 181-182; ქვე, ტ. 11, თბ., 1987, გვ. 377.
196. დაწვრილებით ამ საკითხზე იხ.: ა. დრანსე, შამილის ტყვე ქალები, თბ., 1978.



197. ა. დოუბა, კავკასია, თბ., 1970, გვ. 299-300.
198. Богослов И., Тропою дружбы, Тб., 1984, გვ. 190 პილიტიკა
199. იხ. ს. ხუციშვილის მიერ შედგენილი „ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი“, I, თბ., 1961, გვ. 115.
200. „20 ივლისს სოფელს წინანდაღმი...“, „დროება“, 1873, №31.
201. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №219, ფ.1.
202. კრ. ორბელიანი, წერილები, II, თბ., 1937, გვ. 316.
203. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის შეყრილობაზე, „დროება“, 1867, №20.
204. ლ. გოდერიძე, მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიიდან, „საისტორიო მოამბე“, ტ. 37-38, 1978, გვ. 32.
205. შინაური ქრონიკა, „დროება“, 1883, №227.
206. ი. ბალახაშვილი, ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში, თბ., 1940, გვ. 167.
207. „დიმიტრი ჯორჯაძის გარდაცვალებისა და დასაფლავების თაობაზე გვწერებ...“, „დროება“, 1883, №240; ეპიტაფია იხ. ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი, I, თბ., 1961, გვ. 124; დ. ჯორჯაძის დაკრძალვაზე გრიგორ არქიმანდრიტის მიერ წარმოთქმული სიტყვა იხ. „დროება“, 1883, №242.
208. შინაური ქრონიკა, „დროება“, 1883, №227.
209. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №219, ფ.1.
210. იქვე, საქ. №211, ფ.2.
211. იქვე, ფ.5-6.
212. იხ. შესაბამისი წლების „K.K.“
213. ახალი ამბავი, „ცნობის ფურცელი“, 1900, №1330.
214. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №211, ფ.5.
215. იხ. შესაბამისი წლების „K.K.“
216. „K.K.“, 1852, გვ. 606.
217. იქვე, გვ. 608.
218. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №211, ფ.5.
219. იხ. შესაბამისი წლების „K.K.“
220. იქვე, 1852, გვ. 575.
221. Театр в Тифлисе с 1845-1856 гг., Тбл., 1888, გვ. 3.
222. Краткий каталог Тифлисской публичной библиотеки (1846-1861), Тбл., 1861, გვ. VI.
223. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №211, ფ.5.



224. გ. გორგალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, III, გვ. 428. საქართველო
225. მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, 1980, გვ. 231. სისტემიკა
226. იქვე; ბიოგრაფიული ცნობები გ. ერისთავზე იხ. აგრეთვე, აქტები...,
ტ. X, 1885, გვ. XXXIV.
227. ამ საკითხზე იხ.: ვ. ქაჯაია, ნიკო ცხვედაძე - გამოჩენილი
განმანათლებელი და მამულიშვილი, კრძ.: ნიკო ცხვედაძე - 150, თბ.,
1995, გვ. 18-20.
228. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №211, ფ.5.
229. იქვე, ფ.6.
230. ბიოგრაფიული ცნობები ი. მუხრანბატონზე იხ.: აქტები..., ტ. X,
1885, გვ. XXVI; გ. ავალიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო
თანამევრობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 106-109; გ. მუგრელიძე,
ჩუკინი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბ., 1979, გვ. 151-154; მაქს.
ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული
საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, გვ. 8-10, 111-113.
231. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №211, ფ.5.
232. ბიოგრაფიული ცნობები ალ. ნეიდგარტზე იხ.: Энциклопедия военных
и морских наук, т. V, С-Пб., 1891, გვ. 347; აქტები..., ტ. IX, გვ.
XXIV.
233. ე. ორჯონიკიძე, რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში,
თბ., 1992, გვ. 172.
234. დ. ყიფიანი, მემუარები, თბ., 1991, გვ. 32.
235. იქვე.
236. ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან
საქართველოში, თბ., 1951, გვ. 45, 58.
237. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №211, ფ.3.
238. იქვე, ფ.5-6.
239. ბიოგრაფიული ცნობები ი. ნაზოროვზე იხ.: აქტები..., ტ. X, 1885, გვ.
XXVI-XXVII.
240. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №1555, ფ.1.
241. იქვე, საქ. №1556, ფ.1.
242. „K.K.“, 1852, გვ. 607.
243. იქვე, გვ. 608.
244. ნიკ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება, „მოამბე“, 1894, №IV,
გვ. 78.
245. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №211, ფ.5.

246. იქვე-
 247. იქვე, საქ. №219, ფ.2.
248. ი. ანდრონიკაშვილის სამხედრო მოღვაწეობაზე იხ.: შ. მეგრელიძე,
 ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბ., 1979, გვ. 102-113; გ.
 ავალიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამევრობრობის
 ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 77-84; ბიოგრაფიული ცნობები იხ.: აქტები...,
 ტ. X, 1885, გვ. XIII.
249. მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, თბ., 1980, გვ. 145.
250. თ. პაპავა, დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, თბ., 1990, გვ. 316.
251. მაქს. ბერძნიშვილი, დასახ. წიგნი, I, გვ. 142.
252. ი. მამაცაშვილზე იხ.: მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 82-85; ლ.
 ნანიტაშვილი, წერილები, თბ., 1981, გვ. 121-136; ალ. ჭალანდაძე, ქართული
 ფურნალისტიების ისტორია, II, თბ., 1984, გვ. 280-282; შ. სააკაძე, გერცენის
 ქართველი მეობარი, „ლიტერატურული გაზეო“, 1957, №45.
253. ი. გოგებაშვილი, როგორ დაარსდა „წერა-კითხვის საზოგადოება“,
 რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1990, გვ. 251-253.
254. მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 140.
255. ი. უთურაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, თბ., 1989, გვ. 94.
256. მაქს. ბერძნიშვილი, დასახ. წიგნი, II, გვ. 137.
257. ნ. გურგენიძე, ქელი წიგნსაცავები საქართველოში, თბ., 1969, გვ. 97.
258. გრ. ორბელიანი, მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურდამდის,
 თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959, გვ. 163.
259. ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ., 1972, გვ. 139-140.
260. ლ. გოდერიძე, მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის
 გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის, „საისტორიო მოამბე“,
 ტ. 37-38, 1978, გვ. 32.
261. ახალი ამბავი, „იკვერია“, 1887, №71.
262. მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 74.
263. დ. ყიფიანი, მემუარები, თბ., 1990, გვ. 123; მაქს. ბერძნიშვილი,
 დასახ. წიგნი, I, გვ. 74.
264. მაქს. ბერძნიშვილი, დასახ. წიგნი, I, გვ. 74.
265. იქვე, გვ. 75.
266. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №211, ფ.4.
267. იხ. ზ. ფალავანდიშვილის მიმოწერა: მაქს. ბერძნიშვილი, მასალები...,
 I, გვ. 74-75; II, გვ. 188-189; 6. გურგენიძე, ქელი წიგნსაცავები
 საქართველოში, თბ., 1969, გვ. 113-114; ბუაჩიძე გ., მარი ბროსე,



თბ., 1983, გვ. 134-135.

268. იხ. „ბიბლიოთეკის“ შემოსავალ-გასაკლის წიგნი, ხი, დ. კურცელის „არქ.“, საქ. №211.
269. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №211, ფ.5-6.
270. დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 123.
271. იქვე.
272. 40-იან წლებში დ. ყიფიანი ცხოვრობდა გრაფის (დღეს - ა. ფურცელაძის) ქუჩაზე (იხ. ნიკ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება, „მრამბე“, 1894, №IV გვ. 83; აგრეთვე, შესაბამისი წლების „K.K.“).
273. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №207, ფ.1.
274. 6. გურგენიძე, ქველი წიგნსაცავები საქართველოში, თბ., 1969, გვ. 112.
275. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №210, ფ.2.
276. იხ. აქვე, შენიშვნა №267.
277. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. № 208, 210.
278. იქვე, საქ. №210, ფ.1.
279. იქვე, საქ. №220, ფ.2.
280. 6. გურგენიძე, ქველი წიგნსაცავები საქართველოში, 1969, გვ. 114.
281. ბუაჩიძე გ., მარი ბროსე, თბ., 1983, გვ. 134.
282. იქვე, გვ. 135; 6. გურგენიძე, დასახ. წიგნი, გვ. 113-114.
283. ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1989, გვ. 214.
284. იქვე, გვ. 235.
285. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №210, ფ.2. (ტექსტი ნაბეჭდია, შედგენილია რუსულ ენაზე).
286. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №210, ფ.2.
287. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №209, 212 და სხვ.
288. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. № 218, ფ.5.
289. იქვე, საქ. №211, ფ.4.
290. დ. ყიფიანი, მემუარები, თბ., 1990, გვ. 123.
291. დ. ყიფიანის ცნობით, მას სახელმწიფო ბიბლიოთეკისათვის ჩაუბარებია 510 წიგნი (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №1415, ფ.2.). იგივე ციფრია (233 თხზულება, 510 ტომი) დასახელებული ა. ბერჟეს მიერ შედგენილ კატალოგშიც (იხ. კრаткий каталог Тифлисской публичной библиотеки, ТФЛ, 1861, გვ. VII).
292. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №№224, 739.
293. დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 123-124.
294. იქვე, გვ. 124.

მემოკლებათა განხარტება

არქ. - არქივი.

აქტები - Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. 1-12, Тбл., 1866-1904.

ბროკჰაუზი-ეფრონი - Брокгауза и Ефрана энциклопедический словарь, т. 1-86, С.-Пб., 1890-1907.

კრბ. - კრებული.

„К.К.“ - „Кавказский календарь“, Тбл., 1846-1917.

საქ. - საქმე.

ფ. - ფურცელი.

ქსე - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 1-11, თბ., 1975-1987.

ხი - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქ. ძმენლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

[30th]

13



დაიბეჭდა გამომცემლობაში „ნეკტრი“